# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 8 ივლისი. 2020 წ. №84 (9010) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი




**უკრაინისა და საქართველოს მტერი!**

## სააკაშვილმა საკუთარი იდიოტობა კიდევ ერთხელ გამოამზეურა

ექსპერტების ვარაუდით, სააკაშვილის უკრაინაში საქმიანობა შესაძლოა, ისევ ხანმოკლე აღმოჩნდეს. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, უკრაინის რეფორმების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი ისევ სკანდალში ჩაეფლო. ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს.

უკრაინული ვებგვერდის მიერ გავრცელებული აუდიოჩანაწერები, გამოსვლა, რომელმაც მოსამართლეთა მწვავე კრიტიკა გამოიწვია და ბრალდება, რის საფუძველზეც ჟურნალისტებმა ადგილობრივ საგამოძიებო უწყებებს უკვე მიმართეს — ეს ყველაფერი სააკაშვილის მიერ დაკავებულ პოსტთან წინააღმდეგობაში მოდის.

ადგილობრივი პრესის ინფორმაციით, ზელენსკის ადმინისტრაციის წევრთა უმეტესობა უკვე სააკაშვილის გადაყენებას ითხოვს.

## აია სოფიას მეჩეთად გადაკეთება საფრთხეს შეუქმნის ქრისტიანობას



12

## მასუნთქეთ!

**„სამი მუშკეტერის“ გასაგონად!**



6

## არასპორტული მეთოდებით

1. „ცაციობამ“ რა ჰქმნა?!
2. ცუდი მაგალითი
3. დაგვანებონ თავი!




10

## ბრძოლცხვირა და „კალაშოვი“ მნარეძ




3

## დაგვიბრუნეთ მამა!

**რატომ დაიჭირეს მარტოხელა, მრავალშვილიანი მამა, რომელიც ქუჩაში კონფლიქტს შეესწრო?**

6

## რა აიძულეს რუსებმა აფხაზ მასწავლებლებს რეფერენდუმის დროს?

**– ქართველებისთვის აფხაზეთის ვითარებანი პირველ ადგილზე აღარ დგას!**

3

8

## რა წესები უნდა დავიცვათ ზღვაზე?!

## სიცოცხლის მესაიდუმლე

**პროფესორი ნუგზარ ალექსიძე – 85**



5

## გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა პარასკევს, 10 ივლისს

# ამერიკა გაისადაც დაგვეხმარება

**აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის ასიგნებების კომიტეტმა კანონპროექტი წარადგინა, რომელშიც 2021 ფისკალური წლისთვის სახელმწიფო დეპარტამენტის, საგარეო ოპერაციებისა და მასთან დაკავშირებული პროგრამების დაფინანსების პრიორიტეტებზეა საუბარი.**

დოკუმენტში ასევეა საუბარი საქართველოსთვის გასაწევ დახმარებაზე. კერძოდ, კანონპროექტში გაწერილია, რომ საქართველო 2021 წელს დახმარების სახით არანაკლებ 132 025 000 დოლარს მიიღებს.

კანონპროექტში ასევე აღნიშნულია, რომ თანხის გამოყოფის შეჩერება არ შეეხება დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, სამოქალაქო სექტორისა და მედიის განვითარების, გენდერული ძალადობის აღმოფხვრისა და მოწყვლადი ჯგუფების დახმარების



პროგრამებს. ამავდროულად, კანონპროექტი სახელმწიფო მდივანს უფლებას აძლევს, უარი თქვას აღნიშნულ შეზღუდვებზე, თუ ეს აშშ-ის ეროვნული ინტერესებისთვის მნიშვნელოვანია.



# ამერიკის ელჩმა საძირკვლის გაჭრაში მიიღო მონაწილეობა

**ამერიკის მთავრობა აგრძელებს ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე თემების მხარდაჭერას. გუშინ შიდა ქართლის სოფელ ყარაფილაში კომბუჩას საწარმოს მშენებლობის დასაწყებად ელჩი კელი დეგნანი და გუბერნატორი გიორგი ხოჯევანიშვილი მესაკუთრეებს შეუერთდნენ საძირკვლის გაჭრის ცერემონიაში,** — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოში ამერიკის საელჩო აქვეყნებს.

ამ ადგილობრივ ბიზნესს USAID/Georgia და სტარტაპ საქართველო უჭერს მხარს.

# სოფლის ტიპის დასახლება დევნილთათვის

**გერმანიისა და საქართველოს მთავრობების თანამშრომლობის შედეგად, მარნეულში იძულებით გადაადგილებული ოჯახებისთვის სოფლის ტიპის დასახლება შენდება. 31 სახლი იმ დევნილ ოჯახებს გადაეცემათ, რომლებიც მრავალი წელია, ამორტიზებულ შენობაში ცხოვრობენ.**

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კამპანიის — „ერთი თვე სამინისტროსთან ერთად“ ფარგლებში, ეკატერინე ტიკარაძემ მიმდინარე სამუშაოები გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ ჰუბერტ ქნირშთან ერთად დაათვალიერა.

გარდა მარნეულისა, მთელი საქართველოს მასშტაბით, დევნილი ოჯახების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, დამატებით, 122 სახლი აშენდება. განსახლების შემდგომ, დევნილ ოჯახებს შემოსავლის წყაროს გაჩენის მიზნით, გრანტებიც გადაეცემათ.



# კანონპროექტი არანაირ შემხებლობაში არ არის მაუწყებლებთან!

## კომუნიკაციების კომისია მედიის ცენზურაზე

**„ელექტრონული კომუნიკაციების“ შესახებ კანონში წარმოდგენილი ცვლილებები არანაირ კავშირში არ არის მედიასთან და მაუწყებლებთან. ამის შესახებ ინფორმაციას კომუნიკაციების კომისია ავრცელებს.**

როგორც მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, კანონში ცვლილება ეხება მხოლოდ კრიტიკული ინფრასტრუქტურის მფლობელ, ელექტრონული კომუნიკაციების კანონით ავტორიზებულ პირებს.

**„კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტების მართვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, ცვლილებები შედის „ელექტრონული კომუნიკაციების“ შესახებ კანონში.**

**აღსრულების ეფექტური მექანიზმის შესახებ ცვლილებები, კანონპროექტის მიხედვით, ეხება მხოლოდ კრიტიკული ინფრასტრუქტურის მფლობელ ელექტრონული კომუნიკაციების კანონით ავტორიზებულ პირებს და არანაირი კავშირი არ აქვს მაუწყებლებთან. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კრიტიკულ ინფრასტრუქტურაში შედის ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტები, როგორიც არის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი, საოპერაციო ტექნიკური რესურსები, მთლიანად ელექტრინული კომუნიკაციებისთვის საჭირო რესურსები, რომელიც უზრუნველყოფს ფიქსირებულ ინტერნეტ და მობილურ მომსახურებებს.**

**რაც შეეხება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებას, აღნიშნული წარმოადგენს მხოლოდ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტის თანმდევ დაზუსტებას. აღნიშნული განპირობებულია საქართველოს და ევროკავშირს შორის, ასოცირების შესახებ შეთანხმების 105-ე მუხლის მე-6 პუნქტით.**

**ამიტომ, კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ აღნიშნული კანონპროექტი არანაირ შემხებლობაში არ არის მაუწყებლებთან“,** — ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, პარლამენტი დაჩქარებული წესით ითხოვს საკანონმდებლო ცვლილებას ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის შესახებ კანონში.

ახალი საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით, მარეგულირებელ კომისიას შესაძლოა, მაუწყებლებში სპეციალური მმართველის დანიშვნის უფლება მიეცეს. მეტიც, კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, სპეციალური მმართველი 2 წლამდე ვადით დაინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური მმართველის დანიშვნის უფლებამოსილებას ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის ცვლილება ითვალისწინებს, ჩნდება ეჭვი, რომ მისი გამოყენება კომისიას შეეძლება მაუწყებლობის სფეროშიც, მათ შორის, ანალოგიით ან კანონის ფართო განმარტების გზით.

# კახა კუჭავა: კონგრესს არაფერი გაუყინავს და არც დოკუმენტი მიუღია, ეს მორიგი ტყუილია!



**— ეს არის ტყუილი და ძალიან სამწუხაროა, რომ მსგავს ტყუილსა და დეზინფორმაციაზე ცდილობენ თავის წინასაარჩევნო კამპანიის აგებას. ამას მეტს ვერაფერს დავარქმევ. კონგრესს არაფერი გაუყინავს, არც დოკუმენტი მიუღია და არანაირი ცვლილებები დოკუმენტში არ შეუტანია. ეს არის ტყუილი და დეზინფორმაცია. ერთადერთი, რასაც მსგავსი ინფორმაციის გავრცელება შეიძლება უკავშირდებოდეს, ან არაპროფესიონალიზმია და უუნარობა, რომ ვერ წაიკითხო ის, რა ინფორმაციაც მოდის ამერიკიდან ან მეორე — მიზანმიმართული დეზინფორმაციული კამპანია, რომლითაც ცდილობენ მოსახლეობის მოტყუებას“,** — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, კახა კუჭავამ ოპოზიციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ თითქოს აშშ-ს კონგრესმა საქართველოს დახმარების ნაწილი გაუყინა.



მისივე განმარტებით, საუბარია კონგრესის ერთ-ერთი კომიტეტის ერთ-ერთ ქვეკომიტეტში ინიცირებულ კანონპროექტზე, რომელსაც ჯერ კიდევ ძალიან ბევრი თვე დასჭირდება იმისთვის, რომ სესიამდე მივიდეს და კენჭისყრა ჩატარდეს.

**— ამიტომ, ეს განხორციელებული ქმედება, რომ უბრალოდ კანონპროექტი დაიინიცირდა, ჩვენთან იქნა „გაყიდული“ და გავრცელებული ცრუ ინფორმაციად, რომ თითქოს კონგრესმა მიიღო რაღაც გადაწყვეტილება, რაც მართლა ღიმილის მომგვრელია. ვინც ამ ინფორმაციას ავრცელებს, ძალიან კარგად უნდა ხვდებოდეს, რომ ტყუილს არა მხოლოდ მოკლე ფეხები აქვს... ეს არის ერთ-ორ საათიანი აჟიოტაჟის ატეხვის მცდელობა იმ ფაქტზე, რომელიც არ მომხდარა. მაგრამ ყველაზე საწყენი ის არის, რომ მსგავსი ინფორმაციის გავრცელება, ერთადერთი, ვისაც ხელს აძლევს და ვის ინტერესებშიც შედის, ეს არის ჩვენი ჩრდილოელი ოკუპანტი. სამწუხაროა, რომ ჩვენი ოპოზიციის წარმომადგენლები ზუსტად ამ ნარატივს იმეორებენ და სიხარულით იღებენ იმ ფაქტს, რომ საქართველოს, თურმე, რაღაც სანქციები დაუწესდა, რაც კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არის ტყუილი. კონგრესს მსგავსი გადაწყვეტილება არ მიუღია და ამაზე საუბარი სასაცილოც კი არის, რადგან ელემენტარული ინგლისური თუ იცი, შეგიძლია, წაიკითხო და გაერკვე, რომ ეს არის ერთ-ერთი კომიტეტის ერთ-ერთ ქვეკომიტეტში დაინიცირებული კანონპროექტი, რომელსაც ჯერ კიდევ ძალიან დიდი დრო დასჭირდება, რომ მივიდეს ფართო განხილვამდე, მათ შორის, კონგრესის პლენარულ სესიამდე“.**

კახა კუჭავას განმარტებით, ადგილი აქვს რამდენიმე კონგრესმენის მცდელობას, რომ ეს ცვლილებები აისახოს აპროპორიაციის დოკუმენტში, თუმცა. აქ საუბარია იმ დოკუმენტზე, რომელშიც ზუსტად „ქართული ოცნების“ პერიოდში გაჩნდა ისეთი მხარდამჭერი ჩანაწერები, რომელიც ადრე არ ყოფილი.

**— რა თქმა უნდა, ალოგიკური იქნებოდა, უცებ კონგრესს რამე გადაწყვეტილება მიეღო. კონგრესი ასე მარტივად გადაწყვეტილებებს არ იღებს. ამას წინ ძალიან დიდი პროცესები უწევს — პროცედურული ნაწილი, განხილვები. ეს არის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რომელიც ფიზიკურად ვერ მოესწრება, რომ ახლო მომავალში იყოს განხილული. ამას სჭირდება დრო, თუმცა ის, რომ რამდენიმე კონგრესმენი არის აგრესიული ლობიზმის შედეგად ჩვენი ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილი, ეს დასამალი არ არის და გვესმის კიდეც. მათ შორის ერთ-ერთი კონგრესმენის ბოლოდროინდელი ჩართვა ოპოზიციურ ტელეარხზე ძალიან კარგად მეტყველებს ამაზე. თუმცა, ამერიკელი პარტნიორების შეფასებით, არასდროს ყოფილა ჩვენს ქვეყნებს შორის სტრატეგიული ურთიერთობა ისეთ მაღალ დონეზე, როგორც ახლაა და ეს ასეც გაგრძელდება.**

**ჩვენს მტერს, ვისაც უხარია, რომ ამერიკასა და საქართველოს შორის ურთიერთობები გაუარესდეს ან დაიძაბოს, ამ სიამოვნებას ნამდვილად ვერ მიიღებს“,** — აღნიშნა კახა კუჭავამ.

# გრძელცხვირა და „კალაშოვი“ მწარედ შეიბნენ





**ოპოზიციაში საქმე მას შემდეგ, რაც ის გაერთიანდა და ნათელაშვილის ოფისის სუნი და ფერი დაიკრა, შავად მიდის.**

ჯერ ერთი, გაერთიანებას უმალ დაიბზარ-დაიშაშრა გრილ კეცზე გამომცხვარი მჭადივით, და რაც მთავარია, იდეოლოგიურად დაიმშა, ანუ, ისედაც უფერხორცო იდეოლოგია სულ შემოეცალა.

ამ უგზოუკვლოდ დაკარგული ოპოზიციური იდეოლოგიის ჩამოქნა ახლა ხდება დამოუკიდებელი, უუნაგირ-უაღვირო მხედრის **ალეკო ელისაშვილის** პირით თუ მის გარშემო.

პირველი ის, რომ ელისაშვილმა ზუსტად განსაზღვრა ოპოზიციის უმთავრესი ამჟამინდელი ლიდერის გიგა ბოკერიას როლი პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე და მას მორგებულად „ოპოზიციის კალაშოვი“ უწოდა (ზახარა კალაშოვი, ანუ „შაქრო მალადოი“, მოგეხსენებათ, დღეს რუსეთის მაფიის ერთ-ერთი ბელადია). თუ ამ მაფიოზის სახელს პოლიტიკურად მოვთარგმნით, დაახლოებით ლევ ტროცკი გამოვა. ეს კალაშოვ-ტროცკობა იმაში გამოიხატება, რომ, ჯერ ერთი, „ივანიშვილთან არის თურმე შეკრული“ და მეორეც, ისეთ ვინმეს ულალატა, ვინც ის კაცად აქციაო, ანუ სააკაშვილსო, თანაც ისე მამაძაღლურად განუდგა, მუშნი ზარანდიაც ვერ მოიფიქრებდაო — ჯერ პარლამენტში შევიდა და მერე ჩახტა სხვის ნავშიო. მაგას ივანიშვილის კრიტიკა საზოგადოებისთვის თვალის ასახვევად სჭირდება, რათა ყველაფერი არივ-დარიოს, თორემ ისევ ძმები არიანო... მის ადგილზე სამჯერ მოვიკლავდი თავსო.

ღმერთმა გადაგვარჩინა და თავი არც ელისაშვილმა მოიკლა და არც ბოკერიამ. გიგამ მხოლოდ ასე შეუღრინა, პოპულისტია ეგ ელისაშვილი, გრძელ ცხვირს იქ ყოფს, სადაც არაფერი ესაქმებაო. ამან ელისაშვილი ძალიან იმედიანად განაწყო, ხედავთ, სხვა ნაკლი ვერაფერი მომიძებნეს, იმიტომ, რომ სუფთა კაცი ვარ, ცხვირი კი მართლაც გრძელი მაქვსო და სულ ცეცხლი შეუნთო: გაერთიანებულ ოპოზიციაში ბოკერია ყველაფერს ისე ხედავს, როგორც მოეპრიანება, აქამდე როგორ ვერ იცანით ეგ მელა, ფსევდოოპოზიციაა და ამჯერადაც ისე მოიპარავს მანდატებს, როგორც ნაციონალებს მოპარა თავის დროზეო.

ერთი სიტყვით, ალეკო ელისაშვილმა იმდენი აკრაჭუნა კბილები მარცხნივ და მარჯვნივ, სანამ „ახალი საქართველოდან“ სილაქი არ გასცხეს: მაგ კაცის ამოცანა ხელისუფლების ცვლილება კი არა, ბუტაფორიული ოპოზიციონერობა და კინტოს როლია პოლიტიკაში და ამის დამადასტურებელ მასალებს ფართო საზოგადოებას ხშირ-ხშირად გავაცნობთო.

ამჯერად ალეკოს აღარ გახარებია იმის შეხსენება, რომ გრძელი ცხვირი აქვს...

თუმცა ელისაშვილის ცხვირისთვის დღეს ოპოზიციასაც და პოზიციასაც ნაკლებად სცხელა. დღის წესრიგში ეუთოს რეკომენდაციით საარჩევნო კოდექსში ცვლილების შეტანაა — პარტიებში ყოველი მეოთხე — ქალიო! ამან ოპოზიციაში ქარიშხალი გამოიწვია.

შალიკო ნათელაშვილი გაცოფდა: **„ვის ვირჩევთ, დეპუტატებს თუ სასქესო ორგანოებს?“**

ქართველ ლეიბორისტთა ლიდერს, მოგეხსენებათ, უკუღმართ ლოზუნგთა მიმართ თავისებური დამოკიდებულება აქვს, ამის დასტურად ვაშინგტონში თეთრი სახლის წინ „დაუნ დიქტეიტეო“ ფეხები რომ აბაკუნა და ამერიკა დაზაფრა, ისიც კმარა.

ჰოდა, ახლა ახალი ჭეშმარიტება იშვა მის მღელვარე გონებაში და მანაც არ დააყოვნა! ისე, კაცმა რომ თქვას, გენდერული კვოტირების სავალდებულო სიახლემ პარლამენტში მოხვედრის მსურველ პარტიებს დიდი თავის ტკივილი გაუჩინა. ზოგს ამ „ყოველი მეოთხის“ გამოძებნა უჭირს. ეკა ბესელიამ, ყოველი მეოთხე კი არა, „სამში ერთი“ აჯობებსო! ზოგს საპარლამენტოდ შერჩეული კაცების ქალებით სასწრაფოდ ჩანაცვლება ესიკვდილება, ზოგს ქალთა საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მაგრამ არა ხელოვნურად კვოტირების საშუალებით! ზოგს კი ის აშფოთებს, რომ ეს ცვლილება გარედან ჩაწოდებით მოხდა: თუ კანონებს ეუთო გვიწერს, ხოლო კონსტიტუციას — ვენეციის კომისია, პარლამენტი რაღა საჭიროა! ზოგს ის აინტერესებს, ტრანსგენდერები რომელ სქესს მიაწერონ?

არადა, არჩევნები ყოველ წუთს, ყოველ მოსახვევში იჩენს თავს. საამისოდ ხალხი სპეციალურად არის ჩასაფრებული, მაგალითად, უკვე აშკარა ხდება, რომ ზოგ-ზოგები თავს არ იზოგავენ, რათა ჭაბუკ ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის სიკვდილს, რამაც მთელი საქართველო შეძრა, როგორმე პოლიტიკური ელფერი მისცენ, ანუ რამენაირად ხელისუფლება დაადანაშაულონ. აუცილებლად გამოჩხრიკავენ რაიმე უკუღმართს! ეს უკვე ეტყობოდა კოჭებში ნიკა გვარამიას „გამოძიებას“ და „ტვ პირველის“ ჯილოს ნოდარ მელაძის შაბათის რეპორტაჟებს.

არადა, მსოფლიოს ახალი საფიქრალი აქვს: ივლისი აშშ-მა კორონავირუსის ინფიცირების რეკორდული მაჩვენებლით დაიწყო: 1 ივლისს — 47 ათასი, 2 ივლისს — 50 ათასი, 5 ივლისს — 70 ათასი...

**ალეკო ასლანიშვილი**



# რა აიძულეს რუსებმა აფხაზ მასწავლებლებს რეფერენდუმის დროს?

## - ქართველებისთვის აფხაზეთის ვითარებანი პირველ ადგილზე აღარ დგას!

**ოკუპირებულ აფხაზეთის მასწავლებლებსა და ადმინისტრაციულ მუშაკებს აიძულებდნენ, მონაწილეობა მიეღოთ რუსეთში საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ჩატარებულ რეფერენდუმში, რომლითაც პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს კიდევ 16 წლით გაუხანგრძლივდა ამ პოსტის შენარჩუნების ვადა.**

ამის შესახებ „2020NEWS“ კავკასიის საკითხებში ექსპერტმა მამუკა არეშიძემ განუცხადა.

მისივე თქმით, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსეთის მოქალაქეა და რეფერენდუმში მონაწილეობა იყო ოკუპირებული ტერიტორიების ლოიალობის გამოხატულება კრემლის მიმართ.

**„რეფერენდუმი ჩატარდა არა მარტო ოკუპირებულ ტერიტორიებსა და რუსეთის ტერიტორიაზე, არამედ ყველგან იქ, სადაც რუსეთის მოქალაქეები ცხოვრობენ, მაგალითად გერმანიაშიც. რუსეთის მოქალაქეებმა რეფერენდუმში მონაწილეობა საელჩოების შენობებში მიიღეს.**

**აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი არის რუსეთის მოქალაქე და ამიტომ ისინი თავის სამოქალაქო ვალდებულებად თვლიან, რომ ამ ტიპის რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღონ.**

**აფხაზეთში კი ორგანიზებულად მიაღებინეს ხალხს რეფერენდუმში მონაწილეობა, დემონსტრირება მოხდა კრემლის მიმართ ლოიალობის. ალბათ, იგივე მდგომარეობა იყო ცხინვალშიც.**

**— აფხაზეთზე მაქვს ინფორმაცია, რომ მასწავლებლებს, ადმინისტრაციულ მუშაკებს ხმის მისაცემად მისვლას აიძულებდნენ.**

**— საინტერესო ისაა, ზოგიერთი პოლიტოლოგი ირონიით აღნიშნავს, რომ რა საკითხიც არ უნდა დაეყენებინა პუტინს, მნიშვნელობა არა აქვს, ეს იქნება საკონსტიტუციო ცვლილებებზე თუ სხვა თემაზე. მთავარი იყო მისვლა, დადებითი პოზიციის დადასტურება და არა — რეფერენდუმის შინაარსი.**

**რეფერენდუმი, რასაკვირველია, ქვეყნის მასშტაბებს სცდება, მაგრამ მათ ეს რეფერენდუმი მაინც ჩაატარეს. კონსტიტუციური თვალსაზრისით რაც ახლა მოხდა ეს დიდი სპექტაკლია. აქედან გამომდინარე, კანონიერებაზე და კონსტიტუციის დაცვაზე ლაპარაკი ზედმეტია, როცა რუსეთის ხელისუფლებას ასეთი გადაწყვეტილებების მიღება სჭირდება, პლუს საჭირო იყო ოკუპირებული ტერიტორიების ლოიალობის დემონსტრირება“,** — განაცხადა არეშიძემ.

კითხვაზე, აღნიშნულთან დაკავშირებით, რა ნაბიჯი უნდა გადადგას საქართველოს ხელისუფლებამ და უნდა აღნუსხოს თუ არა საპროტესტო ნოტა, არეშიძე გვიპასუხეს, რომ განცხადება აუცილებლად უნდა გაკეთდეს.

**„რამდენადაც ვიცი, აღნიშნულთან დაკავშირებით, გარკვეული ინფორმაცია გაგზავნილია, რასაკვირველია, განცხადება აუცილებლად უნდა გაკეთდეს და საერთაშორისო თანამეგობრობა აუცილებლად საქმის კურსში უნდა იყოს.**

**— აუცილებლად უნდა გამოვიდეთ, ტრიბუნაზე მუშტები ვაბრახუნოთ, აუცილებლად უნდა შევყაროთ ქვეყანა, მართალია, ასე უნდა იყოს, მაგრამ შედეგი?!**

**— თუ ჩვენ ზოგადად არ შევცვალეთ ჩვენი მიდგომები და ჩვენი პოლიტიკა, და ამის შეცვლის ძალიან ცოტა შანსია, განსაკუთრებით, 2008 წლის მერე ეს ყველაფერი ძალიან რთულია.**

**სახელმწიფოს რეაქცია, რასაკვირველია, უნდა ჰქონდეს, მაგრამ, რომ გადავამოწმოთ საქართველოს მოსახლეობის რამდენი პროცენტისთვის იქნება ეს თემა აქტუალური?! საერთაშორისო თანამეგობრობას არ ვგულისხმობ, გასაგებია, რომ პოლიტელიტას თავისი გზავნილები სჭირდება.**

**სამწუხაროდ, ისეთ ვითარებაში ვართ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილისთვის სულ ერთია, რა ხდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე.**

**ჩვენ იმდენი ვქენით, რომ მსგავსი ფსიქოლოგიური ფონი შევქმენით ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ. საზოგადოებისთვის მეორე და მესამე ხარისხოვანი გახდა ამ ტერიტორიებზე შექმნილი მდგომარეობა. ეს არის ტრაგედია.**

**ზოგადად, ეს არ არის ის გამოწვევა, რომელიც ქართველი საზოგადოებისთვის პირველ ადგილზე დგას.**

**წარსულში იდგა, თუმცა ახლა აღარ დგას“,** — განაცხადა არეშიძემ.

შეგახსენებთ, რუსეთის პირველი პირის ვლადიმერ პუტინის მიერ ინიცირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით რეფერენდუმი ჩატარდა. მასში მონაწილეობის მიღება რუსეთის მოქალაქეებს შეეძლოთ.

რეფერენდუმი ე.წ. ხმის მიცემის პროცედურა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთშიც ჩატარდა. შედეგების მიხედვით, ცვლილებას აფახაზეთში 67%-მა დაუჭირა მხარი, ხოლო ე.წ. სამხრეთ ოსეთში 87%-მა.

**ცნობისთვის**, საკონსტიტუციო ცვლილებების მიხედვით, რუსეთის პრეზიდენტს უფლებამოსილების გახანგრძლივება 2036 წლამდე შეუძლია.

**ანა ქორჩილავა**

# ძველი იპოდრომი დედაქალაქის „მწვანე გული“ იქნება

**ძველი იპოდრომის ტერიტორიაზე თბილისის ცენტრალური პარკი მოეწყობა. ამის შესახებ „კომერსანტს“ ბიძინა ივანიშვილის მეგობარმა, მონადირეთა და მეთევზეთა ფედერაციის პრეზიდენტმა თემურ ტყემალაძემ განუცხადა, რომელიც მთაწმინდის ფერდის გამწვანების პროექტის ავტორიცაა. როგორც ტყემალაძე აცხადებს თვითონ პროექტში ჩართული არ არის თუმცა, აქვს ინფორმაცია რომ თბილისის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეკრეაციული სივრცის განვითარების პროექტზე ჰოლანდიური კომპანია იმუშავებს. დამატებითი დეტალების გასაგებად, თუ რას გეგმავს ივანიშვილი იპოდრომის ტერიტორიაზე „ფონდი ქართუს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ნიკოლოზ ჩხეტიანსაც დავუკავშირდით, თუმცა ჩხეტიანმა მედიაჰოლდინგის შეტყობინებებს არ უპასუხა.**

## „ქართუ ჯგუფის“ მთავარი მესაკუთრე უტა ივანიშვილია





შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბიძინა ივანიშვილის საკუთრებაში (ოფიციალურად შპს „ინვესტ კაპიტალი“) არსებული მიტოვებული რეკრეაციული სივრცე ისევ ბიძინა ივანიშვილის „ფონდმა ქართუმ“ 60 მლნ ლარად შეისყიდა.

ამ საკითხს თავად ფონდიც გამოეხმაურა. გავრცელებულ განცხადებაში არ არის საუბარი, კონკრეტულად რას გეგმავს ივანიშვილი იპოდრომის ტერიტორიაზე, თუმცა აცხადებენ, რომ: **„ვერანაირი აჟიოტაჟი და პოლიტიკური სპეკულაციები ვერ შეუშლის ხელს ქართული სახელმწიფოსა და ხალხის მხარდასაჭერად ფონდის მიერ სამომავლოდ დაგეგმილ და მიმდინარე საქველმოქმედო პროექტების განხორციელებას“.**

გეტყვით იმასაც, რომ იპოდრომის ტერიტორიაზე შექმნილ მძიმე ვითარებაზე „კომერსანტი“ აქამდეც წერდა. თემაზე მუშაობის დროს ვნახეთ, რომ მიტოვებული იპოდრომის ინფრასტრუქტურა ნანგრევებად, რეკრეაციული ზონის ნაწილი კი ნაგავსაყრელად იყო ქცეული. რეკრეაციულ ზონაში სადაც ხშირად არასრულწლოვნებიც ერთობიან, საყოფაცხოვრებო ნაგავთან ერთად შეხვდებოდით კუსტარულად დამზადებულ მარიხუანას მოსაწევ ბოთლებს, გამოყენებულ შპრიცებს და ა.შ.

ძველ იპოდრომთან დაკავშირებით თემურ ტყემალაძეს გასულ წელსაც ვესაუბრეთ, მაშინ ივანიშვილის მეგობარი აცხადებდა, რომ კონკრეტული დეტალების თქმა არ შეეძლო, თუმცა, დაზუსტებით თქვა, რომ ტერიტორიაზე ცუდი არაფერი გაკეთდებოდა.

**„იპოდრომთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილი დიდი ხანი ფიქრობს და მგონი რაღაცას ამზადებს. ვიცი, რომ იპოდრომის ტერიტორიაზე არსებული გამწვანება დარჩება, ხოლო განადგურებული ნაწილი აღდგება. წინა პერიოდში გასხვისებულმა ტერიტორიამ დაანგრია იპოდრომი, თორემ ბიძინა ივანიშვილის საკუთრებაში რა ტერიტორიაცაა, ის ამ დრომდე ხელუხლებელია. ამ ადგილზე ხელის ხლება როგორ შეიძლებოდა, ეს არის თბილისის გული. ქალაქის ფილტვები იყო და გულზე ვარ გახეთქილი დღეს არსებული სიტუაციით, ყველგან რაღაცას აშენებენ, ამას ბოლო უნდა მოვუღოთ, ასე არ შეიძლება, რადგან თბილისი არის ხეობა და ამ ზოლის დაცვას ითხოვს . იქ აშენებული ესტაკადის გამო იპოდრომის ტერიტორია გახდა ყველაზე დაბინძურებული ადგილი. ამ ტერიტორიაზე მშენებლობა უნდა შეწყვეტილიყო, მაგრამ დააქუცმაცეს ეს ადგილები და ეს ფრაგმენტაცია არის დამღუპველი ყველასთვის“,** – აცხადებდა თემურ ტყემალაძე 2019 წლის ბოლოს.

ამ დრომდე ტერიტორიას შპს „ინვესტ კაპიტალი“ ფლობდა, რომლის ხელმძღვანელი კახა კობიაშვილია. ის პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის ნათესავია. „ინვესტ-კაპიტალის“ 100%-იანი წილის მფლობელი კი პანამაში ბაზირებული სააქციო საზოგადოება „ლაიმსთოუნ ფაინანს ინთერნეიშენელია“.

რაც შეეხება „ქართუ ფონდის“ საქმიანობას, ფონდი რამდენიმე ძირითად სფეროს მოიცავს, ესენია: განათლება, კულტურა (მათ შორის სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელება), ქართული სპორტის ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხოციელება. 2018 წლის განმავლობაში ფონდის მთლიანი ხარჯები 144 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც 2017 წელთან შედარებით 63.8 მილიონით მეტი იყო. 2018 წელს ფონდის ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი ე.წ. „ვალების განულების“ პროექტი იყო. შეგახსენებთ, რომ 2018 წელს მთავრობამ ვადაგადაცილებული სესხების ჩამოწერის პროცესი განახორციელა. როგორც თავდაპირველად მათი მხრიდან დაანონსდა, ვალების განულება 600,000 მოქალაქეს შეეხებოდა და მათ 2000 ლარამდე მოცულობის ერთ წელზე მეტად ვადაგადაცილებული ვალები ჩამოეწერებოდათ. „ქართუ ფონდი“ სხვა ისეთი მასშტაბურ პროექტებსაც ახორციელბს როგორიცაა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ადრონული თერაპიის ცენტრი, ისტორიული ძეგლების რეაბილიტაცია.

2017 წლის სექტემბრამდე, ფონდ „ქართუს“ დამფუძნებელი სააქციო საზოგადოება „ქართუ ჯგუფთან“ ერთად ფიზიკური პირი, ბენინის მოქალაქე, **გბეგო ტოსა აოგნიბო ჟილბერი** იყო.

**„დამფუძნებელმა, ფიზიკურმა პირმა Gbego Tossa Ahognibo Gilbert-მა ნებაყოფლობით დატოვა ორგანიზაცია 2017 წლის 31 დეკემბრისთვის. ამ ეტაპზე ფონდის ერთადერთ დამფუძნებელს წარმოადგენს სს „ქართუ ჯგუფი“,** – ნათქვამია დოკუმენტში.

ჯგუფის საბოლოო ბენეფიციარი, მესაკუთრე, ანგარიშგების მიხედვით, უტა ივანიშვილია.

**ბაჩო ადამია**

# სამი წლის განმავლობაში გაზის ტარიფი არ შეიცვლება



**გუშინ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) თავმჯდომარე დავით ნარმანიამ კომისიის საქმიანობის წლიური ანგარიში წარადგინა.**

დავით ნარმანიამ ვრცლად ისაუბრა სემეკის 2019 წლის საქმიანობასა და 2020 წლის გამოწვევებზე.

სემეკის ანგარიშის შესაბამისად, საქართველოში ელექტროენერგიის შიდა მოხმარება ყოველწლიურად საშუალოდ 4.4%-ით იზრდება, თუმცა მცირდება ელექტროენერგიის წარმოება. იზრდება ელექტროენერგიის იმპორტი.

რაც შეეხება ბუნებრივი გაზის სექტორს, 2019 წელს ქვეყანაში ბუნებრივ გაზზე მოთხოვნა გაიზარდა 15%-ით და 2.5 მლრდ კუბ.მ შეადგინა, ზრდა ძირითადად შეეხო საყოფაცხოვრებო და თბოსადგურების მოხმარებას.

დავით ნარმანიას განცხადებით, მომდევნო სამი წლის განმავლობაში გაზის ტარიფი არ შეიცვლება.

**„გაზის გამანაწილებელი კომპანიებისთვის მისაწოდებელი გაზის ფასში სახელმწიფომ, ამ შემთხვევაში, ნავთობისა და გაზის კორპორაციამ, მისი კუთვნილი გაზით ფასის სუბსიდირება მოახდინა. ანუ კორპორაცია არ აიღებს კუთვნილ გაზს და მოგებას, რომელიც რამდენიმე მილიონ ლარს შეადგენს, მომდევნო სამი წლის განმავლობაში გაზის ტარიფს დაასუბსიდირებს. ელექტროენერგიის ტარიფის არაგეგმური გადახედვა არ იგეგმება“,** – აცხადებს დავთ ნარმანია.

გაზის ტარიფი თბილისში ერთ კუბურ მეტრზე 46 თეთრია, რეგიონებში კი – 57 თეთრი.

# ქართული ღვინო პირველობას არ თმობს

**პოლონეთში გამართულ ვარდისფერი ღვინოების საერთაშორისო კონკურსში (International Rose Championship 2020) ქართულმა ღვინოებმა ოქროს და ვერცხლის მედლები დაიმსახურეს. ოქროს მედლები მიიღეს: იბერიელი, „ზურაბ თოფურიძე ჩხავერი (გურია) – 2018“ და მარანი „დიმნა“(იმერეთი) – „ძელშავი 2017“; ღვინომ „ზურაბ თოფურიძე ჩხავერი 2018“ ასევე დაიმსახურა საუკეთესო ღვინოების სპეციალური ჯილდო.**

ვერცხლის მედლები მოიპოვეს: თელავის ღვინის მარანი, „ცქრიალა როზე (კახეთი)-2019“, თელავის ღვინის მარანი, „საფერავი როზე (კახეთი) – 2019“ და „ლაპატი ვაინსი“, „კიდევ ერთი პეტ ნატი“ (ქართლი) – 2016“.



ჟიურის ღვინის მაგისტრი ელიზაბეტ გაბაი (Elizabeth Gabay) ხელმძღვანელობდა, ხოლო მის შემადგენლობაში მსოფლიოს 7 ქვეყნის 12 საუკეთესო ექსპერტი შედიოდა. სულ კონკურსში 28 ქვეყნის 220 ღვინის ნიმუში მონაწილეობდა.

კვალი დროში





# სიცოცხლის მესაიდუმლე

## პროფესორი ნუგზარ ალექსიძე – 85

**ნუგზარ გიორგის ძე ალექსიძე დაიბადა 1935 წელს ქ. სენაკში. 1953 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის მე-8 ვაჟთა საშუალო სკოლა, 1959 წელს – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი, იყო გამოჩენილი ქართველი ფიზიოლოგის ი. თარხნიშვილის სახელობის სტიპენდიატი.**

1963 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1978 წელს – სადოქტორო. 1979 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება, 1988 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრად. ნ. ალექსიძე არის მედიკობიოლოგიის (1994), ეკოლოგიის (1995), საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ეგრისის (1996) საზოგადოებრივი აკადემიების აკადემიკოსი, ნ. ალექსიძე არის თავის ტვინის შემსწავლელი – საერთაშორისო ორგანიზაციის (IBRO, 1996) და ევროპის ნეიროქიმიკოსთა საერთაშორისო საზოგადოების (ENS, 1994) წევრი, აშშ-ის 9 საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი. ნუგზარ ალექსიძე 1992 წლიდან საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოების პრეზიდენტია, 2002 წლიდან – საქართველოს ბიოქიმიკოსთა არასამთავრობო ორგანიზაციის საპატიო პრეზიდენტი.

ნ. ალექსიძეს გამოქვეყნებული აქვს 506 სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის სახელმძღვანელოები (29), მეთოდური მითითებანი (4) და მონოგრაფიები (10), არის პატენტისა და 18 გამოგონების ავტორი. ნ. ალექსიძე მრავალი საერთაშორისო კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილეა (128). ნ. ალექსიძის მიერ მომზადებულია ბიოლოგიის მეცნიერებათა 8 დოქტორი და 22 მეცნიერებათა კანდიდატი, 5 აკადემიური დოქტორი. აღნიშნულთან დაკავშირებით 2017 წელს ინგლისის საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ცენტრმა ახალგაზრდა მეცნიერების მომზადებისათვის ნ. ალექსიძე დაასახელა მსოფლიოს 100 საუკეთესო პროფესორ-პედაგოგთა შორის (TOP 100) და დააჯილდოვა „ღირსების მედლით“.

2007 წლიდან 2014 წლამდე ნ. ალექსიიძე ხელმძღვანელობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს. 2018 წლიდან სასწავლო სამედიცინო უნივერსიტეტის (GEOMEDI) საპატიო დოქტორია.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ი. ბერიტაშვილის წინადადებით ნ. ალექსიძე დაინიშნა ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის სალექციო ასისტენტად, რაც გულისხმობდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ჩართვასა და სტუდენტებთან ლექციების კითხვას და ურჩია, სამეცნიერო კვლევა გაეგრძელებინა ფუნქციური ნეიროქიმიის მიმართულებით, რაც თანხმობაში იქნებოდა კათედრის სამეცნიერო-კვლევების პრობლემასთან.

ამ მიზნით, ლიტერატურაში არსებული მონაცემების გაცნობის შემდეგ აკადემიკოს პ. ქომეთიანთან და ე. კლეინთან თანაავტორობით გამოაქვეყნა ორი მონოგრაფია: „მეხსიერების ბიოქიმიური მექანიზმების შესახებ“ (1986) და „მეხსიერების ნეიროქიმიური ასპექტები“ (1980). ნაშრომებში უარყოფილი იყო ჰიდენის მოსაზრება ნუკლეინის მჟავებისა და ცილების მეხსიერების მატერიალურ სუბსტრატად აღიარება, რაც მალე ექსპერიმენტულად იქნა დადასტურებული ნ. ალექსიძის მიერ. ი. ბერიტაშვილმა თავის ცნობილ მონოგრაფიაში – „ხერხემლიან ცხოველთა მეხსიერება, დახასიათება და წარმოშობა“ (1974) ხაზგასმით აღნიშნა, რომ როგორც „პ. ქომეთიანი და ნ. ალექსიძე მიიჩნევენ, არ შიძლება ინფორმაციის კოდირება დავიყვანოთ ცილებისა და სხვა მაკრომოლეკულების დონეზე (ი.ს. ბერიტაშვილი.1974). საგულისხმოა, რომ როდესაც თავის წიგნში ი. ბერიტაშვილი განიხილავს საკითხს „სწავლების ფერმენტული საფუძვლები“, მთელი გვერდი მიუძღვნა ნ. ალექსიძისა და მისი ასპირანტის მ. ბალავაძის ნაშრომის განხილვას და გააკეთა დასკვნა, რომ პირობითი რეფლექსების ფორმირებისა და დასწავლისას აღინიშნება არა მხოლოდ სტრუქტურული ცვლილებები სინაფსების დონეზე, არამედ ფერმენტების აქტიურობაშიც აცეტილქოლინესთერაზას გააქტიურების დონეზე.


Citation of Honor

The Governing Board of Editors of the American Biographical Institute

does proclaim with this document that

Nugzar Aleksidze

has been selected to receive

The World Medal of Freedom

for significant accomplishments in the field of

Neurobiology

Let it be known that the Medal awarded to the above mentioned recipient is of a limited nature and is authenticated by this Document.

Medal number 28 of 50.

Signed and sealed at the headquarters of the American Biographical Institute

ABI

Date: July 21, 2010

President Registrar

მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა შვედი მეცნიერების ჰოლგერ ჰიდენისა და პაულ ლანგეს ნაშრომი ნერვული უჯრედების დონეზე მეხსიერების ბიოქიმიური მექანიზმების შესახებ, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის გამგე, აკადემიკოსი ი. ბერიტაშვილი დაინტერესდა ერთეული ნეირონების დონეზე კვლევებით და სთხოვა ნ. ალექსიძეს სამეცნიერო მივლინებით გამგზავრებულიყო შვედეთში გეტებორგის უნივერსიტეტის ნეირობიოლოგიის ინსტიტუტში პროფესორ ჰ. ჰიდენის ლაბორატორიაში მიკრომანიპულაციური ტექნოლოგიების ასათვისებლად.

როდესაც ჰიდენის ლაბორატორიაში ნ. ალექსიძე გაეცნო ჯაკობინისეულ მეთოდს, ფოლადის მავთულით ნერვული უჯრედების გამოყოფისას ეჭვი შეეპარა, რომ ფოლადის მავთულით ნერვული უჯრედების გამოყოფისას ხდებოდა მათი დაზიანება, რაც ექსპერიმენტულადაც იქნა დადასტურებული. ამიტომ გადაწყვიტა, ფოლადის მავთული შეეცვალა უფრო რბილი და ელასტიკური გოგონების წამწამით. შედეგი საოცრად დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა და ეს მეთოდიც წარმატებით დაინერგა ჰიდენის ლაბორატორიასა და უცხოეთის მთელ რიგ ინსტიტუტებში.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ნ. ალექსიძის მიერ აღმოჩენილმა ფაქტმა, რომ დაბერების პროცესში თავის ტვინის ცილებში აღინიშნება დისულფიდური ჯგუფების როდენობის 50-80 %-ით გაზრდა, რაც ავტორის აზრით მეხსიერების გაცუდების ერთ-ერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო და წამოაყენა ახალი ჰიპოთეზა ასაკთან დაკავშირებით მეხსიერების გაცუდების შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა აშშ-ის ინოვაციური მეცნიერების კვლევების ჟურნალში (2019). ავტორმა გამოთქვა მოსაზრება, რომ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია, გადაწყვეტილიყო დისულფიდური ბმების აღმდგენელი ენზიმის გააქტიურებით. ასეთი ახალი ჰიპოტეზის გამოქვეყნების შემდეგ ნ. ალექსიძე მიიწვიეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ონლაინ კონფერენციაზე სპიკერად პარიზსა და ჰოლანდიაში.

დადგენილია, რომ ყველა შემთხვევაში მკვლელ და თვითმკვლელ ორგანიზმებში მნიშვნელოვნად შემცირებული აღმოჩნდა ბიოლოგიურად აქტიური სეროტონის რაოდენობა. სეროტონი შემცირებული აღმოჩნდა იმ მაიმუნებში, რომლებაც დაკარგეს ლიდერის ფუნქცია ჯოგში და ცხოველებისადმი აგრესიულად განწყობილ ბავშვების სისხლში, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სკოლის ფსიქოლოგებმა ყურადღება უნდა გაამახილონ სკოლაში ავტორიტეტდაკარგულ ე.წ. ყოჩების ქცევებზე, რომელთა ორგანიზმში აგრეთვე მცირდება სეროტონინის რაოდენობა და ძლიერდება აგრესიულობა. აგრესიული ქცევების პრევენციის მიზნით სკოლის მოსწავლეებს სასურველია, შევთავაზოთ სეროტონინის წინამორბედი ამინომჟავა ტრიპტოფანით მდიდარი ჰოლანდიური და მდნარი ყველის ბუტერბროდები და, გავაძლიეროთ მოსწავლეების ფიზიკური დატვირთვები, რაც საგრძნობლად გაზრდის სეროტონინის რაოდენობას ორგანიზმში და მნიშვნელოვნად შეამცირებს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათ შორის სექსუალური ჰორმონების რაოდენობას. ნ. ალექსიძის მიერ აღმოჩენილი იქნა მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ აგრესიული განწყობა თავის ასახვას პოულობს ერითროციტების მემბრანების დონეზე, რაც შესაძლებლობას გვაძლევს, დროულად გამოვავლინოთ აგრესიული ახალგაზრდები მკურნალობის მიზნით.

სამწუხაროდ, ბოლო ხანებში თითქმის ყველა ასაკის ადამიანი, ქალი თუ მამაკაცი ტრანსპორტში, დასასვენებელ ადგილებში, სახლში და თეატრშიც კი ჩაყურსული არიან მობილურ ტელეფონებში და როგორც ჩანს




მათ არა აქვთ გაცნობიერებული, რომ ისინი ხდებიან მობილურ ტელეფონზე დამოკიდებული, როგორც ნარკომანები – ნარკოტიკებზე. ამიტომ ამ მოვლენას ნ. ალექსიძემ **„სოციალური ნარკომანია“** უწოდა, რაც მრავალი სახის დარღვევას იწვევს ადმიანებში, ყალიბდება მშობლებისა და საზოგადოებისაგან სოციალური იზოლაცია, ისე როგორც ეს აუტისტური სპექტრის აშლილობისას აღინიშნება ბავშვებში.

მას შემდეგ, რაც ნ. ალექსიძე წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტში კითხულობდა ფსიქობიოლოგიის სალექციო კურსს, იგი დაგულისყურდა დ. უზნაძის განწყობის თეორიით და ნეიროქიმიის მიღწევების გათვალისწინებით ნ. ალექსიძე გვთავაზობს დ. უზნაძის განწყობის თეორიის **„განწყობა – ქცევა“**-ს ნაცვლად, მოდიფიცირებულ ტრიადას – **განწყობა – ადაპტაციური სინდრომი – ქცევა,** რაც აღიარებულია ფსიქოლოგების მიერ (Aleksidze N. 2013).

2010 წელს ფსიქოლოგიური ხასიათის შრომებისათვის ამერიკის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა ნ. ალექსიძე დააჯილდოვა თავისუფლების დესპანის მედლით ნეირობიოლოგიაში.

ნ. ალექსიძის მიერ ფართო სამუშაოები იქნა ჩატარებული ბიოქიმიის ახალ მიმართულებაში – ლექტინოლოგიაში. ცხოველურ ორგანიზმებში პირველად იქნა აღმოჩენილი მრავალი „მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ლექტინები“, რისთვისაც 2002 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ნ. ალექსიძეს თანამშრომლებთან ერთად მიანიჭა აკადემიკოს პ. ქომეთიანის სახელობის პირველი პრემია.

1983 წლიდან ბიოქიმიის კათედრაზე დაიწყო ბიოტექნოლოგიური კვლევები. კათედრამ მიიღო სახელმწიფოს დაკვეთა მეცხოველეობის კომპლექსებში უნარჩენო წარმოების ახალი ტექნოლოგიების შესაქმნელად. კრწანისის მეღორეობის კომპლექსის ტერიტორიაზე აშენდა მეცხოველეობის ნარჩენებიდან პლასტმასის დასამზადებელი ქარხანა. პლასტმასის ქარხანაში დამზადებული ელექტროგაყვანილობის, საოჯახო ნივთების, ქუთაისის ავტოქარხნის ნაწილების, მოძრავძირიანი სანერგე ქოთნები ნერგებისათვის და სხვა, რომელთა დემონსტრაცია მოხდა მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენაზე, გამოფენის ადმინისტრაციამ ნ. ალექსიძე დააჯილდოვა გამოფენისა და გამომგონებლის მედლით, კათედრას გადაეცა მიკროავტობუსი და მსუბუქი ავტომანქანა მოსკვიჩი-412.

მას შემდეგ, რაც 2008 წელს ასპირანტ მ. ტარასაშილთან ერთად მოიპოვეს შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი GNSF/ST07/6-221, ნ. .ალექსიძის ხელმძღვანელობით დაიწყო ფართო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მარსის გრუნტის მიკრობიოლოგიური ბიორემედიდციის მიზნით. ამ გზით ავტორებმა გრუნტისა და ცეოლითების ნარევზე გამოზარდეს ხორბლისა (ნახშირწყლები) და ლობიოს (ცილები) ნათესები მომავალი კოსმონავტებისათვის.

პლანეტა მარსზე არსებული რადიაციულტემპერატურული გარემოსა და ატმოსფეროს შედგენილობის დისტანციური მართვის საიმიტაციო მოწყობილობის შექმნისათვის მოიპოვეს პატენტი: **„საქ-პატენტი“, №12522/01, 20. 2013.**

ნ. ალექსიძისა და მისი თანამშრომლების მიერ ასტრობიოლოგიაში მიღებული სამეცნიერო შედეგები მოხსენდა ამერიკის საერთაშორისო კონფერენციებზე, 8 შრომა გამოქვეყნდა ჟურნალ ასტრობიოლოგიაში. 2019 წელს NASA-ას მიერ მარსზე გასაგზავნ ასტრობიოლოგ მეცნიერთა სიაში შეიტანეს ნ. ალექსიძის სახელი და გვარი, რომელიც 2020 წელს გაიგზავნება მარსზე.

ჟურნალ „Astrobiology“-ში გამოქვენებული შრომების საფუძველზე ამერიკის ბიოგრაფიულმა ცენტრმა ნ. ალექსიძე წარადგინა **Isaac Newton**-ის საპატიო დიპლომით დასაჯილდოებლად.

ნ. ალექსიძე არის ამერიკის შეერთებული შტატების 9 სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიების წევრი. ბიოლოგიის მეცნიერებების განვითარებაში, სახალხო მეურნეობაში შეტანილი წვლილისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ნ. ალექსიძე დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. ხელოვნების, მეცნიერებისა და კომუნიკაციების მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტის ლინდა ჰ. ბლეჩერის მიერ ნ. ალექსიძე წარდგენილ იქნა მსოფლიო კონგრესის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობის დასაკავებლად და პრეზიდენტის მედლით დასაჯილდოებლად.



**1997 წელს** ნ. ალექსიძე შეყვანილ იქნა აშშ-ის ბიოგრაფიული ინსტიტუტის ცნობარში „ვინ ვინ არის“, 1997 წელს იგი აღიარებულ იქნა როგორც **„წლის ადამიანი“,** ხოლო **1999 წელს** ნ. ალექსიძე დასახელდა **საუკუნის ადამიანად**.

1959 წელს, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრაზე საჩვენებელი ლექციის მოსმენის შემდეგ ნ. ალექსიძეს დაევალა ლექციების წაკითხვა ბიოლოგიისა და სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. წაკითხული ლექციების საფუძველზე სტუდენტებისათვის მოამზადა და გამოაქვეყნა 29 სახელმძღვანელო.

**ქართული ბიოქიმიური ტერმინოლოგიის დადგენის საქმეში ნ. ალექსიძის მიერ შემოღებულმა მრავალმა ტერმინმა წარმატებით დაიმკვიდრა ადგილი ქართულ ბიოქიმიურ ლიტერატურაში.**

**გულწრფელად, დიდი სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით, ნ. ალექსიძე მოიხსენიებს მის მასწავლებლებს, პროფესორ ქსენია ცხაკაიასა და აკადემიკოს პეტრე ქომეთიანს.**

**მეგობრები**

# მასუნთქეთ!

## „სამი მუშკეტერის“ გასაგონად!

**როგორც ყველას გვახსოვს, განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროების ერთობლივი გადაწყვეტილებით, და დაავადებათა კონტროლის ცენტრთან შეთანხმებით, სულ ცოტა ხნის წინ აბიტურიენტები ვალდებული იყვნენ, პირბადეებში ყოფილიყვნენ შენობაში შესვლიდან ვიდრე გარეთ გამოსვლამდე ანუ დაახლოებით, 3-4 ან, შესაძლოა, 5 საათის განმავლობაშიც კი. არავითარ კონდიცირებაზე ლაპარაკი არ ყოფილა.**

**ამჟამად „დიდი“ პროგრესი გვაქვს: აბიტურიენტებს ნება მიეცათ მოიხსნან პირბადეები, ოღონდ მხოლოდ საგამოცდო ოთახში და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ჰაერის ტემპერატურა ცელსიუსით 30 გრადუსს არ გადააჭარბებს. ამ ნიშნულს ზემოთ მომატებისას ამჯერად კონდიცირების ჩართვაც გადაწყდა, მაგრამ ამ სიკეთეს უაზრობაც მოაყოლეს: კონდიციონერის მუშაობის პირობებში აბიტურიენტებმა კვლავ უნდა გაიკეთონ პირბადეები!**

აი, რას ამბობს დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორი, ბ-ნი **ამირან გამყრელიძე** საზოგადოებრივ არხზე გამოსვლისას გამოცდების წინა დღეს, 5 ივლისის საღამოს: „გამოცდების დროს თუ ჩაირთვება კონდიცირება (ანუ, როცა ტემპერატურა 30 გრადუსს ასცდება), ფანჯრები უნდა იყოს ღია ისევე, როგორც მთლიანად გამოცდების პერიოდში, ბუნებრივი აერაცია უნდა იყოს; **თუ ჩაირთვება კონდიცირება იქ მყოფმა ადამიანებმა უნდა იხმარონ პირბადე, აუცილებლად“!**

რა გამოდის? თუ გარე ტემპერატურა 30 გრადუსს ქვემოთ იქნა (და, — ოთახშიც, შესაბამისად), ხომ კარგი აბიტურიენტებისთვის — აღარც შემაწუხებელი (შედარებით, ცხადია!) სიცხე და სუნთქვაც ბუნებრივი, ფიზიოლოგიური. მაგრამ თუკი ტემპერატურა 30 გრადუსს აშორდა (არადა, ერთი კვირაა თბილისში 35-37-გრადუსიანი ცხელი დღეები დგას, და მომდევნო დღეებშიც 30 გრადუსზე მაღალია ნავარაუდევი), მაშინ პირბადე სავალდებულო ხდება იმის მიუხედავად, რომ ამ დროს ჩართულმა კონდიციონერმა, როდესაც გარეთ ჩრდილში ლამის ორმოცი გრადუსია, ადვილი შესაძლებელია, 30 გრადუსს ქვემოთ ვერც დასწიოს ტემპერატურა გაღებული ფანჯრების პირობებში.

გამყრელიძის ამ განცხადებამ, ბუნებრივია, კითხვები გააჩინა:

**1. ბატონო ამირან, რატომ არ არის სავალდებულო პირბადის ტარება 30 გრადუსს ქვემოთ, როცა ოთახის მხოლოდ ერთ მხარეს დაღებული ფანჯრები მაინც არ იძლევა დამაკმაყოფილებელ ბუნებრივ აერაციას (როდესაც გარე და შიდა ტემპერატურები ერთნაირია და არ ხდება ორპირი განიავება, ბუნებრივი აერაცია, პრაქტიკულად, ნულის ტოლია!) და რატომ არის იგი სავალდებულო 30 გრადუსს ზემოთ, როცა უკვე არსებულ მინიმალურ (ფაქტობრივად კი არარსებულ!) ბუნებრივ აერაციას კონდიცირების ვენტილაცია ემატება?**

**2. ბატონო ამირან, პირბადეებით ვირუსს ვიჭერთ თუ სუნთქვას ვიძნელებთ? უფრო მეტ ჟანგბადს ვაწვდით ორგანიზმს თუ — ზომაზე გაცილებით მეტ ნახშირორჟანგს? ამოსუნთქული ტენიანი, ნახშირორჟანგით მდიდარი ჰაერის უკანვე ჩასუნთქვა 3-4 საათის განმავლობაში კარგად მოქმედებს აბიტურიენტების ფილტვებზე და გონებაზეც, თუ — ცუდად? და, საერთოდ, აძლიერებს თუ აქვეითებს იგი იმუნურ სისტემას?**

**3. ბატონო ამირან, შეუძლებელია, არ იცოდეთ, რომ ნანონაწილაკის ზომის ვირუსისთვის პირბადეში გავლა დაახლოებით იგივეა, რაც ადამიანისთვის წარმოსახვით კილომეტრიანი კვადრატების მქონე ბადეში გავლა, ანუ ამ ბადეებს შემჩნევითაც რომ ვერ შეამჩნევს ვერც ვირუსი და ვერც ადამიანი! ჰოდა, როდესაც თქვენ ასეთ კატეგორიულ რჩევას იძლევით, რატომ არ თვლით საჭიროდ მათ დასაბუთებას? ნუთუ ზედმეტად მიგაჩნიათ იმის ახსნა, თუ რა იცვლება საერთო პროცესში კონდიცირების ჩართვისას? რა მოსაზრებით, რისთვის არის ატეხილი ამდენი ვაი-უშველებელი პირბადეების ირგვლივ? მხოლოდ იმიტომ, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ (ჯანმო) დაგვავალა ჩვენც და სხვებსაც? იმ ორგანიზაციამ, რომელიც მსოფლიო მოსახლეობის „ჯანმრთელობაზე“, ანუ მის გაწყვეტაზე ფიქრობს დღენიადაგ (ამის მაგალითები უამრავია და ჩვენ მიერაც არაერთხელ მოხმობილი ვაქცინაციის თემისადმი მიძღვნილ წინა წერილებში) და კაცთმოძულე სატანისტის — ბილ გეიტსის მითითებებით ხელმძღვანელობს მეოთხედი საუკუნეა?**



ამ კითხვებზე თქვენი პასუხი ბევრ რამეს მოჰფენდა ნათელს, მათ შორის თქვენს პოზიციასაც, რომელიც, თქვენი პროფესიიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა იყოს დაფუძნებული უძველეს სიბრძნეზე: **„უპირველესად არ ავნო“!** არ მინდა დავუშვა, რომ შემოდგომაზე, როდესაც კოვიდ-19-ის „მეორედ მოსვლით“ აშინებენ მთელ მსოფლიოს (რათა არსებული პანიკის მუხტი არ შენელდეს!), თქვენც ისეთივე შეზღუდვებს მოითხოვთ, როგორიც მოსკოვის მერმა დააწესა, როცა 65 წლის ადამიანებს სახლიდან გამოსვლა აუკრძალა, ან ტეხასის შტატის გუბერნატორმა ქუჩაში უპირბადეოდ მყოფთათვის — 250-დოლარიანი ჯარიმა! და, რაც უმთავრესია, **არ მინდა, რომ თქვენც ვეტერინარული ვაქცინაციის, ანუ იძულებითი ვაქცინაციის პროპაგანდისტთა რიგებში გიხილოთ იმათ გვერდით, რომლებსაც დიდი სურვილი აქვთ, ადამიანებს ისევე მოეპყრან, როგორც ვეტერინარები ეპყრობიან საქონელს, — საქონელს ხომ არავინ არაფერს ეკითხება!**

**იმედია, ასე არ ფიქრობთ თქვენ არც ჩვენზე და არც სხვა ხალხებზე! იმის იმედიც მაქვს, რომ იმედებს არ გაგვიქარწყლებთ და საქმით დაამტკიცებთ, საქმით შეეწინააღმდეგებით ჯანმოს ვაირეკომენდაციებს, რომ ყველაფერს აქვს საზღვარი — არა მხოლოდ გარედან თავსმოხვეულ დირექტივებს და დამოუკიდებელი მეცნიერების მოსაზრებების უგულებელყოფას (ვერ დავიჯერებ, რომ კორონავირუსის ირგვლივ არსებულ უამრავ ალტერნატიულ ინფორმაციას არ ფლობთ!), არამედ, — ხალხის აბუჩად აგდებას და მისი ნახირად მიჩნევის მცდელობას (საჭიროსთან ერთად უაზრო, ჯანმრთელობისთვის საზიანო შეზღუდვებით დაწყებული და ადამიანის მოდგმის გადასაშენებელი სავალდებულო, იძულებითი ვაქცინაციის კანონპროექტების შემუშავებით დამთავრებული)! მეტისმეტ თავის წაღუნვას მხოლოდ დროებითი დაფასება აქვს, საბოლოო ჯამში კი, მას არავისთვის მოუტანია სიკეთე და, რაღა თქმა უნდა, არც გაპოლიტიკოსებული მედიკოსები იქნებიან ამ მხრივ გამონაკლისი!**



**იაკობ ლეჟავა,**
6 ივლისი, 2020 წ.

# დაგვიბრუნეთ მამა!

## რატომ დაიჭირეს მარტოხელა, მრავალშვილიანი მამა, რომელიც ქუჩაში კონფლიქტს შეესწრო?

### „როცა მილიონების მომპარავი და ქვეყნის დამაქცევარი ბანდიტები, ქურდები, მძარცველები გარეთ არიან და მარტოხელა, მრავალშვილიან მამას არაფრის გამო იჭერ, სამართლებრივ სახელმწიფოს ვერ ააშენებ!“



**როგორ აღმოჩნდა საპატიმროში ოთხი შვილის მარტოხელა მამა, რომელიც შემთხვევით, ქუჩაში კონფლიქტს შეესწრო? აჭარაში მომხდარი ერთი შეხედვით, დაუჯერებელი შემთხვევის შესახებ „პროგრესნიუსს“ „ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტთა კავშირის“ ლიდერი თამარ დადიანი ესაუბრა:**

— საქართველოში უკვე ათეული წლებია, ერთი მანკიერი ტენდენცია შეინიშნება — ის, რაც კრიმინალს, მაღალჩინოსანს და მდიდარ ადამიანს ეპატიება, რიგითი ადამიანისთვის შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს. შემთხვევა, რომელზეც გიამბობთ, ამის ნათელი მაგალითია. რამდენიმე თვის წინ, აჭარაში მოხდა ახალგაზრდების ჩხუბი, რომელსაც შემთხვევითი გამვლელი, მარტოხელა, მრავალშვილიანი მამა შეესწრო. ამ ადამიანს სეირის ყურება არ დაუწყია... უბედურება რომ არ მომხდარიყო, იყვირა და ახალგაზრდებს სიმშვიდისკენ მოუწოდა. საბედნიეროდ, კონფლიქტი მშვიდობიანად დამთავრდა და არავინ დაზარალებულა. ადგილზე მოსულმა პოლიციამ ეს მრავალშვილიანი მამა მოწმის სახით, დაკითხვაზე გამოიძახა. სავარაუდოდ, დაბნეულობის და ძლიერი ემოციური ფონის გამო, ამ კაცმა პოლიციაში არასწორი ჩვენება მისცა, რომელიც მოგვიანებით შეცვალა და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო. გარკვეული მოსაზრების გამო, ამ ადამიანის ვინაობას საჯაროდ არ გავამხელ და პირობითად, გიორგის ვუწოდებ. საქმე ის გახლავთ, რომ გიორგის ოჯახი ძალიან მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობს. ეს ადამიანი ოთხ მცირეწლოვან შვილს მარტო ზრდის. გიორგის მოხუცი დედა ფაქტობრივად, ლოგინიდან ვერ დგება და ახალგაზრდა კაცი ოჯახის ერთადერთი მარჩენალია. ბუნებრივია, ასეთი მძიმე კატეგორიის ოჯახმა გიორგისთვის ადვოკატის დაქირავება ვერ შეძლო. არ ვიცი, როგორ იმუშავა სახაზინო წესით დაქირავებულმა ადვოკატმა, მაგრამ ფაქტია, რომ მარტოხელა, მრავალშვილიან მამას წელიწადნახევრიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

**— კონფლიქტში მონაწილე პირებს რა სასჯელი ერგოთ?**

— არანაირი, რადგან არავინ დაზარალებულა... არავინ, გიორგის გარდა.

ამ საქმემ ყველა ინსტანცია გაიარა, მაგრამ კაცი პატიმრობაში რჩება. გამოდის, რომ მოჩხუბრებს პატრონი გამოუჩნდათ და თავისუფლად არიან და კონფლიქტის შემთხვევითი მოწმე დაჭერილია. არც ის გაითვალისწინეს, რომ ახალგაზრდა კაცი უდედოდ დარჩენილ ოთხ ბავშვს ზრდის და არც ის, რომ ჰყავს ლოგინად ჩავარდნილი მოხუცი დედა, რომელსაც გადაადგილება არ შეუძლია.

**— ბავშვების დედა სად არის?**

— როგორც ვიცი, მას დედობის უფლება სასამართლოს გადაწყვეტილებით შეუჩერდა და შვილებთან ურთიერთობა არა აქვს. შესაბამისად, მამა 4 მცირეწლოვანის ერთადერთი აღმზრდელი და მარჩენალია. ბავშვები იბრძვიან, რომ მამა დაიბრუნონ. გიორგის უფროსი შვილი 16 წლისაა, ყველაზე პატარა კი 10 წლის. ამ ასაკის ბავშვებს რა შეუძლიათ, მაგრამ მაინც ცდილობენ, რომ მამა დაიბრუნონ და ჩვენ ამაში ყველანაირად დავეხმარებით.

**— ამის გაკეთებას როგორ აპირებთ?**

— გიორგის ოჯახი რეგიონში ცხოვრობს და მუნიციპალიტეტს გადავუგზავნეთ საქმე, რომ ოჯახს სოციალური დახმარება დაენიშნოს და მარტო დარჩენილ ბავშვებს პურის ფული მაინც ჰქონდეთ. ამის გარდა, სახელმწიფოს შეუძლია ოჯახს პროდუქტებით დაეხმაროს. ჩვენ ხაზგასმით მოვითხოვთ, რომ ოჯახში მისულმა სოცაგენტმა ბავშვებს თავშესაფარში გადაყვანა არ შესთავაზოს. ამაზე განსაკუთრებით მტკივნეულად რეაგირებენ. „პროგრესნიუსმა“ ცოტა ხნის წინ გააშუქა ოთხშვილიანი დედის ამბავი, რომელიც ქმრის ოჯახიდან წამოსვლის შემდეგ ღია ცის ქვეშ დარჩა და მიტოვებულ შენობას შეაფარა თავი. წარმოიდგინეთ, დედას, რომელსაც შვილების კეთილდღეობისთვის თავი აქვს გადადებული, გამომძიებელმა უთხრა — ამ გომურში რომ გადაგყავთ ბავშვები, საერთოდ ჩამოგართმევთო. ხედავთ, რა დამოკიდებულებაა? ეს მშობლები ხელმოკლეობის გამო, შვილებს არ ტოვებენ, მათი უკეთესი მომავლისთვის იბრძვიან და დახმარების მაგივრად, სახელმწიფოს რა უფლება აქვს, რომ ტერორის ქვეშ მოაქციოს?



რაც შეეხება გიორგის საქმეს, ჩვენი ორგანიზაცია ყველაფერს გააკეთებს, რომ მარტოხელა მამა ხელმოკლეობის გამო არ დაიჩაგროს. მოსამართლე საქმეში უფრო კარგად უნდა გარკვეულიყო და მეტი ჰუმანიზმი უნდა გამოეჩინა. მით უმეტეს, მსხვერპლი და დაზარალებული არ არსებობს. კონფლიქტის მომსწრე ადამიანმა გულგრილად არ ჩაიარა, იყვირა, რომ უბედურება არ მომხდარიყო და კონფლიქტის მონაწილეები გაუშვეს და ის დაიჭირეს. ამის შემდეგ ვინმეს ასეთ კონფლიქტებში ჩარევის სურვილი ექნება? რას ვეუბნებით ადამიანებს, ახალგაზრდების ჩხუბს რომ ნახავთ, არ ჩაერიოთ და ჩუმად გაიარეთო?

როცა მილიონების მომპარავი და ქვეყნის დამაქცევარი კრიმინალები გარეთ არიან და მარტოხელა, მრავალშვილიან მამას არაფრის გამო იჭერ, სამართლებრივ სახელმწიფოს ვერ ააშენებ. ადამიანების ასე დაყოფა და დახარისხება არ შეიძლება!

ცხოვრების ასე გაგრძელება შეუძლებელია!

**„პროგრესნიუსი“**

## კუბაში ჩასვლა

1958 წლის მარტიდან რაზმი ბევრად უფრო მეტ მოქმედებაზე გადავიდა, აჯანყებულთ კავშირი დაამყარეს კუბელ კომუნისტებთან, დაიწყო გენერალური შეტევა და კუნძული რევოლუციის ცეცხლმა მოიცვა.

ბატისტა გაიქცა, ფიდელი განაგრძობდა სანტიაგო-დე-კუბაზე შეტევას, ხოლო კამილოსა და ჩე გევარას უბრძანა ჰავანაზე შეტევა. 2 იანვარს ქვეგანაყოფები ჩე გევარას მეთვეობით ჰავანაში შევიდნენ. იმ დღეს გევარა პირველად გამოჩნდა ტელევიზორის ეკრანზე და უპასუხა ადგილობრივ ჟურნალისტთა შეკითხვებს.

ჩე: **„კუბაში ის მითი გამოაშკარავდა, თითქოს შეუძლებელი იყო რევოლუციის მოხდენა რეგულარული ჯარის უყოლველად. არადა, ჩვენ ვუჩვენეთ მაგალითი, თუ როგორ შეუძლია ბრძოლა გლეხთაგან, მუშათაგან და ინტელიგენციისგან შემდგარ ლაშქარს რეგულარულ ძალთა წინააღმდეგ. ეს ერთგვარი ცხოვრებისეული გამოცდილება, ალბათ, სხვა დიქტატურებთან საბრძოლველად გამოდგება“.**

## ერნესტო ჩე გევარა – კუბის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

1959 წელს მინისტრთა საბჭომ ფილიპე პასოსა დანიშნა ევროპის ქვეყნებში კუბის წარმომადგენლად ეკონომიკურ საკითხებში. პასოსა, კუბის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ერნესტო ჩე გევარამ შეცვალა.

ის საკმარის ყურადღებას უთმობდა ნებაყოფლობით შრომას, აგრეთვე ბანკის თანამშრომელთა საერთო დონის ამაღლებასა და პროფესიულ მომზადებას. ინდუსტრიალიზაციის სამმართველოს შექმნის შემდეგ ჩე გევარამ ახლა კადრების მოსამზადებელი სკოლა გახსნა.

ყოველ ორ თვეში ერთხელ ბანკის პრეზიდენტი საწარმოთა დირექტორების თათბირს იწვევდა. ერთ სხდომაზე ჩეს სთხოვეს, რომ თავისი აზრი გამოეთქვა ზნეობის თაობაზე. გევარამ მიუგო: **„ეს ყოვლის უფრო რთული შეკითხვაა, რაც კი ჩემთვის უკითხავთ“**. ყოველთვე იმართებოდა თათბირი, სადაც მხურვალედ განიხილებოდა სამინისტროს მიხედვით საწარმოო გეგმის შესრულების პროცესი. როგორც წესი, ასეთი თათბირები იმართებოდა დღის ორ საათზე და შუაღამისას მთავრდებოდა.

1960 წლის ოქტომბერში ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ერნესტო ჩე გევარა სათავეში ჩაუდგა იმ ეკონომიკურ დელეგაციას, რომელმაც არაერთი სოციალისტური ქვეყანა მოინახულა. პრაღაში მან ილაპარაკა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ მოქმედებებზე, აგრეთვე იმაზეც, რომ კუბის ეკონომიკური ბლოკადა სრულად ჩაიფუშებოდა. ჩეხოსლოვაკიის ტელევიზიით გამოსვლისას ჩე გევარამ ამხილა ის ფაქტი, რომ გვატემალაში არსებობდა სამხედრო ბაზები კუბაზე შემდგომი თავდასხმისთვის. რამდენიმე დღეში ერნესტო ჩე გევარა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ მიიღო და იქვე დააჯილდოვა თეთრი ლომის (ყველაზე დიდი ჯილდო) ორდენით.

მალე დელეგაცია სსრ კავშირში გაემგზავრა. მოლაპარაკებები კრემლში შედგა. საბჭოთა დელეგაციას ანასტას მიქოიანი მეთაურობდა, კუბისას – ჩე გევარა. ნოემბერში დელეგაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩავიდა, იქ სამრეწველო და სოფლის მეურნეობის მხარეები მოიარა.

მოსკოვში ხანგრძლივი დიპლომატიური მოლაპარაკებების შემდეგ გამოცხადდა, რომ ძალიან მალე კუბაში ამუშავდებოდა სამრეწველო დანადგარები, მიღებული სოციალისტური ქვეყნებიდან.

ჩე: **„საჭირო იყო შეგვეცვალა და გვეცადა იმპორტში კერძო მეწარმეობის გაუქმება, ვინაიდან ის დიდი წინაღობა, დიდი დაბრკოლება იყო. შევეცადეთ აგრეთვე, რომ შეგვეცვალა ჩვენი ვაჭრობის მთელი სტრუქტურა და დაგვეწყო ვაჭრობა სოციალისტურ ქვეყნებთან. სულაც არ გვჭირდებოდა სასაწყობო შენობები, რადგან საქონელი ერთბაშად შემოდიოდა, ამჟამად კი საქონლის მოწოდებას ორი-სამი თვე უნდებოდა, დიდი მარაგის ქონა იყო აუცილებელი. ამას გარდა, გეგმური ეკონომიკის ქვეყნებთან ვმუშაობდით, რომელთათვისაც საქონლის მოწოდება შეიძლება რომ გარკვეულ დროს გვეთხოვა“.**

1965 წლის გაზაფხულზე ჩე კუბიდან მიდის გაურკვეველი მიმართულებით.

## ბოლივია (ხუთი წლის შემდეგ)

ფიდელ კასტროს სიტყვით, ჩე გევარას კუბაში დაბრუნება არ უნდოდა. მაგრამ შემეძლო, რომ დამეყოლიებინა კომანდანტე, ლათინურ ამერიკაში „რევოლუციური ნიადაგის“ მომზადება შევთავაზეო.

1966 წლის ნოემბერში ჩე გევარა სხვა გვარით სან პაულოდან (ბრაზილია) ჩადის ლას-პასში. თავისი გარეგნობით ის სავსებით არ განასახიერებდა მთელი მსოფლიოსთვის ცნობილ კომენდანტე ჩეს: უწვეროსა და გამელოტებულს, თითქმის უკვე ჭაღარას, შავსათვალიანს, თავისუფლად შეეძლო ბოლივიის ქუჩებში სიარული. ჩე გევარას ხელთ ჰქონდა ორი პასპორტი: ერთით რამონ ბენიტესა ფერნანდესი იყო (კომერსანტი), მეორეთი – ადოლფო მენა გონსალესი.

კომანდანტემ ჩასვლისთანავე გამოიტანა დასკვნა, იმ დროიდან, როცა პირველად დაადგა ფეხი ბოლივიის მიწას, იქ არცრა ცვლილებები არ მომხდარიყო. ის კვლავ იმ რწმენით იყო, რომ პარტიზანულ რაზმებს შეეძლოთ სრულად პოლიტიკური ვითარების შეცვლა ქვეყანაში რევოლუციურ ძალთა სასარგებლოდ.

იმ დროისთვის, როცა ის ბოლივიაში ჩავიდა, ქვეყანაში ბევრი კუბელი იყო – ჩე გევარას რაზმიდან მომავალი მონაწილენი. რამონი, როგორც ახლა ეძახდა ჩე თავის თავს, კოჩაბამბუს გავლით **„კალამინას“** გაემგზავრა. ადგილზე უკვე 1966 წლის 7 ნოემბერს იყო. კომანდანტემ იმავე დღის ჩაწერა თავის დღიურში პირველი სტრიქონები და მთელი 11 თვე ყოველდღე იწერდა მომავალი წლის 8 ოქტომბრის ბოლო ბრძოლამდე.

პარტიზანები ლათინური ამერიკის შუაგულში დაბანაკდნენ. იარაღიც ჰქონდათ, ტექნიკაც და ფულიც. სურსათისა და იარაღის მიწოდება „კალამინიდან“ ბანაკში დამქანცველი იყო: ადამიანები ყოველდღე უზარმაზარ ტვირთს დაათრევდნენ.

30 ნოემბერს შემდეგი რამ ჩაწერა დღიურში: **„საქმე ცუდად არ მიდის; ადვილად მოვედი, ჩვენი ხალხის ნახევარი უკვე ადგილზე იყო. რიკარდოს ხალხიც შეუერთდება**



# „სამშობლო ან სიკვდილი!“

## ასე იტყოდა ერნესტო ჩე გევარა

### ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

**ჩვენს მოძრაობას. ჩვენ შემდეგი გეგმები გვაქვს: დაველოდებით სხვათა მოსვლასაც, ბოლივიელთა რიცხვს 20-მდე გავზრდით და შევუდგებით დანარჩენ გეგმებს. ახლა საჭიროა მონხეს აზრის გაგება“.**

31 დეკემბერს დილით **„კალამინაში“** ჩავიდა თვითონ მარიო მონხე. ჩე და მონხე მთელი დღე-ღამე თათბირობდნენ. ბოლივიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ რაზმში შესვლის ნება დართო, თანაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებით მხარს უჭერდა პარტიზანულ მოძრაობას.

18 იანვარს ჩე დღიურში ალგარანიასის მიმართ ეჭვებზე წერს, რომელიც კარგა ხანს იყო კავშირში კამირის პოლიციასთან. უკვე მეორე დღესვე **„კალამინაში“** პოლიცია ჩავიდა და გაჩხრიკეს იქაურობა. წასვლისას პოლიციელებმა გააფრთხილეს, რომ **„ყველაფერი იცოდნენ“** და **„ანგარიში უნდა გაეწიათ იმათთვის“**.

1967 წლის 1 თებერვალს ჩე 20 პარტიზანთან ერთად მთებში წავიდა სავარჯიშო ლაშქრობაში. წინასწარ იგეგმებოდა, რომ პარტიზანები ლაშქრობაში 25 დღეს დაყოფდნენ. ლაშქრობის მიზანი იყო მებრძოლთა გაკაჟება, წესრიგის მიჩვევა, ამტანობისა და ვაჟკაცობის გამომუშავება. უნდა შეესწავლათ ადგილმდებარეობა, გზადაგზა გადაემალათ იარაღის საწყობები, სურსათი, აგრეთვე კავშირი უნდა დაემყარებინათ ადგილობრივ მოსახლეობასთან, ადგილი, რაზმს რომ უნდა გაევლო, ძნელად სავალი იყო, რის გამოც ლაშქრობა მთელი 48 დღე გაიჭიმა ადრე დაგეგმილი 25 დღის ნაცვლად.

გადიოდა დრო და ლაშქრობა ნამდვილ განსაცდელად გადაიქცა. მწერნი, ვეებერთელა ტავარჯუხები (ზურგჩანთები), ძირგავარდნილი ფეხსაცმელი, დასისხლიანებული ფეხები და გადაუღებელი თავსხმა სულს ხდიდნენ ლაშქრობის მონაწილეთ ზნეობრივადაც და ხორციელადაც. დატანჯული მოლაშქრენი სულ უფრო ხშირად ამბობდნენ უარს წესრიგის დაცვაზე. ერთი თვის თავზე საკვების მარაგიც ამოეწურათ და მებრძოლნი ხელუხლებელ მარაგს მიადგნენ. ჩემ უკან ბანაკში მიბრუნება გადაწყვიტა, თუმცაღა იმ დროისთვის რაზმს გზა აებნა.

თვის შედეგებს რომ აჯამებდა, ჩემ 4 მარტს დღიურში ჩაწერა: **„ზნეობრივი სულისკვეთება ჩემს ბიჭებს უკიდურესად დაუდაბლდათ, ფიზიკური მდგომარეობაც უუარესდებოდათ. მეც ფეხები დამისივდა“.**

19 მარტს რაზმი საბაზო ბანაკს დაუბრუნდა და გადაწყვიტეს ბანაკის გაძლიერებული დაცვა.

23 მარტს პარტიზანებმა საფარში ჯარის პატრული მოიხელეს, რის შედეგადაც დაეუფლნენ 16 შაშხანას, 2000 ვაზნას, 3 ნაღმტყორცნს, 2 ბაზუკას, (ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული იარაღი), 3 ავტომატს თავის დისკებიანად, 30 მმ-იანი ტყვიამფრქვევს ორლენტიანად.

25 მარტს გაიმართა მებრძოლთა კრება და გადაწყდა, რომ რაზმისთვის დაერქმიათ ბოლივიის ეროვნული გათავისუფლების მხედრიონნი.

1967 წლის 1 მარტს სამთავრობო ჯარმა შეტევა დაიწყო, ცარიელ რანჩოს ტყვიამფრქვევი დაუმიზნეს, მერე ჰაერიდანაც დაბომბეს და ხელში ჩაიგდეს რანჩო.

ჩე იმ დროზე წერდა: **„ეს თვე სავსე იყო მოვლენებით, რაზმის შემადგენლობა იზრდება კუბიდან ჩამოსულ მებრძოლთა ხარჯზე. ახლა ბრძოლის ის ეტაპია, როცა ჩვენმა რაზმმა რამდენიმე ზუსტი დარტყმა მიაყენა მოწინააღმდეგეს, რამაც დიდი სენსაცია გამოიწვია...“**

10 აპრილს კიდევ რამდენიმე შეტაკება მოხდა სამთავრობო ჯართან, რასაც პარტიზანთა გამარჯვება მოჰყვა.

16 მაისს ჩემ დაშიფრული დეპეშა მიიღო **„მანილადან“**, რომელიც პარტიზანთა სრულ გამიჯვნას ადასტურებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მხარდამჭერთა იატაკქვეშა აპარატი, ლა-პასში რომ მოქმედებდა, გაუქმებული იყო...

ჩეს გამოჩენით შეშინებული ბოლივიის რეჟიმი დასახმარებლად ამერიკის სპეცსამსახურებს უხმობს. 1967 წლის 8 ოქტომბერს რეინჯერთა რაზმი კაპიტან გარი პრადოს მეთაურობით ალყაში აქცევს 17 გატანჯულ პარტიზანს.

ხოლო ბოლო ბრძოლის ერთი კვირით ადრე ჩე დღიურში ასეთ რამეს წერს: **„ჩემი პარტიზანების ზნეობრივი სულისკვეთება საკმაოდ მაღალია. მხოლოდ ვილის გამოღა მრჩება ეჭვები. წინასწარ თუ არ მოველაპარაკებოდი, არ გამოვრიცხავ, რომ ბოლივიის ჯართან პირველი შეტაკებისას გაქცეულიყო“**, მაგრამ ჩეს ეჭვები არ გამართლდა.

ვილიმ (ბოლივიელი სამთოელის თიკუნია) უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გაიზიარა თავისი მეთაურის ბედი. ტყვიების წვიმაში ვილი ეგრევე მიიჭრა დაჭრილ ჩესთან გადასარჩენად. ჩემ მტრის ალყის გარღვევა სცადა, მაგრამ ტყვედ ჩავარდა.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)



გაგრძელება. დასაწყისი იხ. №83

# რა წესები უნდა დავიცვათ ზღვაზე?!



## ჯანდაცვის სამინისტრომ ზღვის სანაპირო ზოლისთვის ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები გამოაქვეყნა

### ძირითადი რეკომენდაციები:

**პლაჟის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურისთვის განკუთვნილ სათავსებში თვალსაჩინო ადგილას განათავსეთ ინფორმაცია კოვიდ19-ის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების შესახებ;**

მიზანშეწონილია, განისაზღვროს სანაპირო ზოლზე ფეხით მოსიარულეთა ბილიკები. ასევე განიხილეთ პლაჟების ზონებად დაყოფის შესაძლებლობა.

უზრუნველყავით სანაპირო ზოლის დასუფთავება ნარჩენებისგან პერიოდულად, ერთჯერად პარკებში, საიდანაც დახურული სახით მოხვდება ნაგავსაყრელ ყუთებში. სანაპირო ზოლის დასუფთავებაში მონაწილე პირი აღჭურვეთ: ხელთათმანებით; სახის დამცავი ფარით/ნიღბით;

პლაჟის ტერიტორიაზე არსებულმა ყველა ინფრასტრუქტურულმა ობიექტმა ოპერირებისას იხელმძღვანელოს „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (კოვიდ-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის ბრძანებით განსაზღვრული შესაბამისი რეკომენდაციებით.

#### ვალდებულებები საპლაჟო ინფრასტრუქტურისთვის (საზღვაო ტრანსპორტი, შეზლონგი/ქოლგა, სკუტერი, ველოსიპედი და სხვა):

**უზრუნველყავით დასაქმებულ პირთა თერმოსკრინინგი, რათა სამუშაოს დაწყების წინ გაკონტროლდეს პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობა ტემპერატურის გაზომვით. ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში მოახდინეთ აღრიცხვა და დაუყოვნებლივ მიმართეთ 112-ის ცხელ ხაზს;**

უზრუნველყავით დასაქმებულები სულ მცირე 60%-70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ჰიგიენური საშუალებებით;

უპირატესობა მიანიჭეთ უნაღდო ანგარიშსწორებას, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოიყენეთ ხელთათმანები;

დაიცავით უსაფრთხო დისტანცია (გამონაკლისის გავრცელება შესაძლებელია 12 წლამდე მოზარდზე);

აკრძალეთ შეზლონგებისთვის განკუთვნილი რბილი, შეწოვადი გადასაფარებლების გამოყენება;

წყლის ტრანსპორტის — სკუტერის, ველოსიპედის, ნავის, ასევე შეზლონგის, ქოლგის და სხვა ატრიბუტის გამოყენების შემდგომ, უზრუნველყავით მათი დეზინფექცია სათანადო წესით;

დახურული სივრცის შესასვლელში განათავსეთ დეზობარიერი, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;

#### მოთხოვნები ღია სივრცეში განთავსებული საშხაპეებისა და საპირფარეშოებისათვის

**ინფექციის** გადაცემის რისკების შემცირების მიზნით, სანიტარიული კვანძების და საშხაპეების დალაგება-დასუფთავება-დეზინფიცირება ხორციელდება დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ 2-საათიანი ინტერვალებით; დადგენილი წესით („ახალი კორონავირუსით (SARS-Cov-2) გამოწვეული ინფექციის (კოვიდ-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის №01-123/ო ბრძანების მე-6 დანართით (ახალი კორონავირუსით (SARS-cov-2) გამოწვეული ინფექციისადმი (კოვიდ-19) ექსპოზირებული არასამედიცინო ობიექტების დასუფთავების დროებითი რეკომენდაციები);

სანიტარიული კვანძის დეზინფექციისთვის გამოიყენება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მიერ რეგისტრირებული საშუალებები.

სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმიისა და სადეზინფექციო საშუალებები უნდა ინახებოდეს სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში/კარადაში, პირვანდელი/მწარმოებლის შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი ობიექტის ვიზიტორებისა და იმ პერსონალისთვის, რომელთა საქმიანობა არ უკავშირდება მათ გამოყენებას.

#### დამლაგებლის ეკიპირებისთვის აუცილებელია

ნიღაბი;
ერთჯერადი ხალათი
სპეციალური, სქელი ხელთათმანები,
თვალის დამცავი (სათვალე ან სახის ფარი).

#### დასაქმებულთა ვალდებულებები:

დაიცავით ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;

სამუშაოს შესრულებისას სრულად გამოიყენეთ ის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომლებიც დამსაქმებელმა მოგაწოდათ;

სამუშაოს დასრულების შემდეგ სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ ის ადგილები და ხელსაწყოები, რომლებსაც იყენებთ მუშაობისას;

ხელის ჰიგიენა ჩაიტარეთ ხშირად;

გამოიყენეთ სულ მცირე 60-70%-იანი სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გამშრალებას. გახსოვდეთ, რომ ხელების დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი;

მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირსა და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში მჭიდროდ დაიმაგრეთ თმა, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმისა და სახის შეხება.

#### მოთხოვნები ვიზიტორთა მიმართ:

დაიცავით ამ რეკომენდაციით განსაზღვრული და ვირუსის გავრცელების პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებული წესები.

დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვი მოხრილი მხარი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადააგდეთ ურნაში.

## გაიხსნა აუზები და ფიტნესდარბაზები



14 ივნისის შემდეგ კოვიდ-19-ის შიდა გადაცემის ფაქტი არ ყოფილა, სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ გარკვეულ შეღავათებს ვაწესებთ, ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა მარნეულში ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, აქედან გამომდინარე მიღებულია სწორედ ის გადაწყვეტილებები, რის შედეგადაც იხსნება აუზები და ფიტნესდარბაზები.

შრომის ინსპექტირების სამსახური შეამოწმებს სპორტდარბაზებსა და საცურაო აუზებს, აკმაყოფილებენ თუ არა იმ პირობებს, რომლებიც მათ ჯანდაცვის სამინისტრომ დაუწესა. ამ დროისთვის საქართველოში კორონავირუსი სულ 958 ადამიანს დაუდასტურდა, მათ შორის გამოჯანმრთელებულია — 838, გარდაცვლილი — 15.

## ეროვნულ გამოცდებს 24 ბრალდებული და მსჯავრდებული აბარებს

**პენიტენციური დაწესებულებებიდან ერთიანი ეროვნული გამოცდების საგამოცდო ცენტრებში ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების გაყვანის პროცესი დაიწყო,** — ამის შესახებ ინფორმაციას სპეციალური პენიტენციური სამსახურიავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, პენიტენციური დაწესებულებებიდან ერთიან ეროვნულ და საერთო სამაგისტრო გამოცდებში წელს 24 ბრალდებული/მსჯავრდებული იღებს მონაწილეობას, რომელთაგან 6 არასრულწლოვანია. სპეციალური პენიტენციური სამსახური თითოეულ აბიტურიენტს წარმატებას უსურვებს და ბრალდებულების/მსჯავრდებულების ეროვნულ გამოცდებში შეუფერხებლად მონაწილეობას უზრუნველყოფს.



## საწვავის ხარისხზე კონტროლი მკაცრდება

**საწვავის სათანადო ხარისხი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ადამიანის ჯანმრთელობისა და ეკოლოგიის შენარჩუნების, აქედან გამომდინარე კომიტეტმა და ინიციატორებმა, გადავწყვიტეთ, რომ სანქციები გავამკაცროთ,** — ამის შესახებ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარემ, ნინო წილოსანმა „POSTV-ის“ ეთერში განაცხადა.

**„სანქციების გამკაცრებით დაისჯება საწვავის ხარისხის პარამეტრების დარღვევა, ეს ცვლილებები გულისხმობს როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, ანუ ჯარიმების ძალიან გამკაცრებას, ასევე განმეორებით დანაშაულის შემთხვევაში სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას“,** — განაცხადა ნინო წილოსანმა.

გარემოს დაცვის კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივით, საქართველოში უხარისხო ბენზინის ან დიზელის იმპორტზე, წარმოებასა და რეალიზაციაზე სანქციები მკაცრდება.

## დაიწყო საბავშვო ბაღის ავარიული შენობის დემონტაჟი



**სამგორის რაიონში მდებარე №28 საბავშვო ბაგა-ბაღის ავარიული შენობის დემონტაჟი დაიწყო. სამუშაოებს თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს მიერ აუქციონის გზით გამოვლენილი კომპანია ახორციელებს.**

თბილისის მერიის ინფორმაციით, ამავე ადგილას მომავალი წლიდან ახალი შენობის მშენებლობა იგეგმება. პროექტის მიხედვით, შენობა კეთილმოეწყობა და აღიჭურვება ბავშვთა უსაფრთხოებისა და განვითარების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. №28 ბაგა-ბაღის ძველი შენობა 12-ჯგუფიანი იყო, ახალი პროექტი კი როგორც ალსაზრდელების, ისე დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას ითვალისწინებს, რადგან ის 15-ჯგუფიანი იქნება.



# ბოშების სამშობლო მთელი მსოფლიოა

**მეორე მსოფლიო ომის დროს, ფაშიზმი არა მარტო ებრაელებს ანადგურებდა – ევროპის ქვეყნების ოკუპაციისას საკონცენტრაციო ბანაკებში თითქმის მილიონამდე ბოშაც დაიღუპა.**

ინდოეთიდან წამოსული რომების ტომის – მიუკარებთა უმდაბლესი კასტის წარმომადგენლები, თანამედროვე ბოშები დედამიწის უკლებლივ ყველა კუთხეში სახლობენ. ისტორიულ სამშობლოში მათ ფულზე მუშაობა აკრძალული ჰქონდათ, თუმცა არც თანამედროვე პირობებში ცხოვრობენ დალხენილად – მათ საზოგადოებრივ დაწესებულებებში, ვთქვათ, სასურსათო მაღაზიებსა და აფთიაქებშიც კი შესვლა აკრძალული აქვთ.



მსოფლიო ბოშათა მეფე ჩოაბე

სწორედ ამიტომ იყო, რომ ამ ხალხის დიდი ნაწილი მსოფლიოში გაიფანტა, თუმცა კი, საყოველთაო დევნის მიუხედავად, მათ საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნება მოახერხეს, რასაც დიდწილად ეთნოსური ჩაკეტილობა უწყობს ხელს – ნებისმიერი სახეობის სამართალი მათი საზოგადოების უხუცესი წევრების პრეროგატივაა.

სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში, ქვეყნიდან ქვეყანაში მომთაბარეობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ბოშებმა არაერთი საკუთარი მითი და ზეპირი გადმოცემა შექმნეს. ერთ-ერთის თანახმად, **გოლგოთის მთაზე იესო ქრისტეს ჯვარცმამდე, რამდენიმე ბოშამ რომაელ ჯარისკაცებს მაცხოვრის საწამებლად გამზადებული ლურსმნებიდან ერთი მოიპარეს, რის შემდეგ მამაზეციერმა მათ ქურდობის ნება დართო...**

თანამედროვე ბოშების სამოღვაწეო ასპარეზი ძირითადი სიმღერა და ცეკვაა, ხოლო ვისაც ამის ნიჭი არა აქვს, მათხოვრობით, მარჩიელობითა და წვრილმანი ქურდობით ირჩენს თავს. გასული საუკუნის მიწურულს, ევროპაში სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ალიანსის დაშლის შემდეგ, ბოშათა რამდენიმე კლანმა დიდძალი ფული იშოვნა ფერადი ლითონების ჩრდილოვანი ვაჭრობით.



ბოშათა დედაქალაქი – დაბა ბუჩესკუ

ნაშოვნ ფულის ნაწილს კლანების წევრები საერთო სალაროში დებენ, რომლის ნაწილი თემის საჭიროებებს, ნაწილი კი უფრო დიდი და ძლიერი კლანის ხაზინაში მიდის.

ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ამ მოხეტიალე ხალხს საკუთარი „დედაქალაქიც“ აქვს: ის რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტიდან 80 კილომეტრში მდებარე **დაბა ბუჩესკუა**. ამ დასახლებაში სულ რამდენიმე ათეული უძვირფასესი სასახლეა, რომელთა ღირებულება 2-დან 3 მილიონ დოლარამდე მერყეობს. ისინი ბოშათა უმძლავრესი კლანების თავკაცებს – „ბაროებს“ ეკუთვნის. აღსანიშნავია, რომ ამ მრავალსართულიან ციხე-დარბაზებში ათვისებული მხოლოდ პირველი სართულებია, დანარჩენები კი ცარიელა დგას. თუმცა, იმ პირველ სართულებზეც ცოტა ხალხია – დაბა ბუჩესკუში მუდმივად მხოლოდ ასაკოვანი ადამიანები და ბავშვები ცხოვრობენ, დანარჩენები საშოვარზე მთელ მსოფლიოს არიან მოდებულნი.

ბოშებს თავიანთი არისტოკრატიაც ჰყავთ: ამჟამად ტახტი **ყველა ბოშის მეფე ჩოაბეს** უკავია, რომლის უმცროსი ძმა რუმინეთის ბოშათა მეფედ ითვლება.

# ბუნებრივი ზღუდე

**ქიმიაში 2015 წლის ნობელის პრემიის ლაურეატმა თომას ლინდალმა ერთობ საგულისხმო განცხადება გააკეთა ავთვისებიან სიმსივნესთან ბრძოლასთან დაკავშირებით.**

– კიბოს მკურნალობის მხრივ, მსოფლიოში ბოლო ხანებში სერიოზული პროგრესი შეინიშნება, – აღნიშნა ნობელიანტმა. – ზოგიერთ შემთხვევაში თერაპიის წყალობით პაციენტები იმ ასაკამდე ცოცხლობენ, რომ ისინი სავსებით შეიძლება სრულიად გამოჯანმრთელებულთა რიცხვს მივაკუთვნოთ.

მართალია, პროგრესი თვალნათელია, მაგრამ სნეულება დამარცხებული მაინც არ არის და ადამიანი ამის გაკეთებას ოდესმე, ალბათ, ვერც შეძლებს.

მაგრამ, შესაძლოა თუ არა მარადიული სიცოცხლე თუნდაც იმ ადამიანთათვის, რომელთა გენები საღია და არანაირი დაზიანება არა აქვთ, რაც, მეცნიერის აზრით, შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ონკოლოგიური პროცესების ჩამრთველ მექანიზმს წარმოადგენს?

– არ მწამს მარადიული სიცოცხლისა. ბუნება, ალბათ, ასეთ შესაძლებლობას არ მოგვცემს. ევოლუციის პროცესში ადამიანის ორგანიზმი იმაზე გათვლით ვითარდებოდა, რომ დაახლოებით 100 წელი გაძლოს. ამიტომაც არ ღირს მარადიული სიცოცხლის აბის შექმნაზე ზრუნვა – ბუნება ამას უბრალოდ არ დაუშვებს, თანაც ეს არაპროდუქტიული იქნებოდა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში დედამიწაზე ჭარბმოსახლეობა და ემუქრებოდა. მედიცინის მიზანია ხანდაზმული ასაკისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა დაავადების, მათ შორის ონკოლოგიის სამკურნალო პრეპარატების შექმნა, რათა ადამიანს 100 წლამდე ჯანმრთელად და აქტიურად მიღწევა შეეძლოს, – დასძენს დოქტორი ლინდალი.



# ბირთვული ზამთრის ათი წელიწადი

**რუსეთსა და აშშ-ს შორის ატომური ომის შემთხვევაში მოვლენათა განვითარების მოდელირება მოახდინეს ნიუ-ჯერსის რათგერის უნივერსიტეტის კლიმატოლოგიური ჯგუფის წევრებმა.**

მეცნიერები მიზნად არ ისახავდნენ საომარ მოქმედებათა შედეგად მსხვერპლის ოდენობისა და ნგრევათა მასშტაბის გარკვევას, მათი მიზანი ბირთვული ომის ეკოლოგიური შედეგების განჭვრეტა იყო.

ცნობილია, რომ ბირთვული იარაღის მთავარ სამიზნეს სამხედრო და სამრეწველო ცენტრები წარმოადგენენ, რომლებიც დიდ ქალაქებში არიან განთავსებულნი. იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი რაიონები საწვავით ჭარბად არიან გაჯერებულნი, ატომური ენერგიის 35 პროცენტი კი სითბური სახით გამოიყოფა, ეს ქალაქები მთლიანად დაიწვება. შემდეგ ცეცხლი ტყეებს მოედება და რამდენიმე თვის მანძილზე იმძვინვარებს, რა დროსაც ატმოსფეროში 150 მილიონამდე ტონა ჭვარტლი გაიფრქვევა, რომლის ნაწილაკები სტრატოსფეროში აიჭრება და დედამიწის ატმოსფეროს მზის სხივებისთვის შეუღწევადს წლების განმავლობაში გახდის. ჭვარტლის ფარდის დაშლა დაახლოებით შვიდი წლის შემდეგ დაიწყება, რის შემდეგაც დედამიწის ზედაპირზე ნორმალური განათებულობის აღდგენას კიდევ სამი წელი დასჭირდება.

**ბირთვული ომის დროს პლანეტის საშუალო წლიური ტემპერატურა ცელსიუსის შკალის 9 გრადუსით დაიწევს,** რაც იმას ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის წარმოება შეუძლებელი იქნება – ეს კი საყოველთაო შიმშილობას გამოიწვევს.

პროგნოზის თანახმად, **ბირთვული ზამთრის პირობებში, ხუთი წლის შემდეგ, უკეთეს შემთხვევაში, დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტი გადარჩება.**

ამდენად, მეცნიერთა დასკვნა ასეთია: **სრულმასშტაბიანი ბირთვული თავდასხმა მისი წამომწყები ქვეყნისთვის თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება, რომელიც კაცობრიობის უდიდეს ნაწილსაც წაიყოლებს.** ამიტომაც, აუცილებელია, რომ გადაწყვეტილებათა მიმღებ პირებს ყოველივე ეს სრულად ჰქონდეთ შეგნებული.



# ეგზოტიკური ბაყაყი... ბანანებში



**დიდ ბრიტანეთში, კარმარტენშირში მდებარე ერთ-ერთ სუპერმარკეტის თანამშრომელმა ბანანის მტევნებს შორის ბაყაყი აღმოაჩინა.**

როგორც ირკვევა, ეგზოტიკური ჯიშის ბაყაყმა ბრიტანეთამდე 8 ათას კილომეტრზე მეტი მანძილი გაიარა. ბანანი ბრიტანეთში კოლუმბიიდან შეიტანეს. სწორედ ასე აღმოჩნდა სამხრეთამერიკული ამფიბია გაერთიანებული სამეფოს ერთ-ერთი მაღაზიის დახლზე.

სუპერმარკეტის თანამშრომელმა მომხდარის შესახებ ცხოველთა უფლებების დამცველებს შეატყობინა. ბაყაყი ამჟამად A Silent World Zoo To You-ში, საზღვაო ცხოვრების სპეციალისტთა ცენტრშია გადაყვანილი, თავს კარგად გრძნობს და მასზე სპეციალისტები ზრუნავენ. ამფიბიას სახელიც შეურჩიეს და მას „ასდა“ დაარქვეს.

# უცნაური შეფერილობის ობობა

**ირანში ფინელ მეცნიერთა ჯგუფმა უცნაური შეფერილობის ობობა აღმოაჩინა.**

ობობას აქვს თეთრი და წითელი ზოლები ზურგზე, რომლებითაც ჰოლივუდის კინოგმირ ჯოკერს ჰგავს, რომლის როლსაც ფილმში ხოაკინ ფენიქსი ასრულებს. მეცნიერებმა მის პატივსაცემად ობობას Loureedia phoenixi დაარქვეს.

ბედის ირონიაა, რომ ობობა ეკუთვნის Loureedia-ს სახეობას, რომელიც ობობას პანკ-როკ მუსიკოსის ლუ რიდის საპატივცემულოდ უწოდეს, რომელსაც ხშირად ჰქონდა შავი მაკიაჟი და იშვიათად იღიმებოდა.



ობობის ეს სახეობა მეცნიერებმა 2018 წელს აღმოაჩინეს. Loureedia-ს სახეობის ოთხი ტიპის ობობა არსებობს. რაც შეეხება Loureedia phoenixi-ს მისი სიგრძე 8 მილიმეტრია.

ობობა ყველაზე მეტ დროს მიწის ქვეშ ატარებს. ზედაპირზე წელიწადში მხოლოდ სამი კვირა ამოდის. ოქტომბრის ბოლოდან, ნოემბრის შუა რიცხვებამდე ობობა მრავლდება. საგულისხმოა ისიც რომ მეცნიერებმა ამ დრომდე მხოლოდ მამრი Loureedia phoenixi იპოვეს. მდედრის ძებნა ჯერ-ჯერობით უშედეგოდ დასრულდა.

◉ არასპორტული მეთოდებით

# „ცაციობამ“ რა ჰქმნა?!

**მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ ჩვენს სულგაყიდულ ჟოპოზიციას 19 წლის ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის ჯერჯერობით გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალებამ, რომ იტყვიან, სულზე მიუსწრო, ნაცხროვა და მისი სადეზინფორმაციო რუპორები კი რისი „ჭეშმარიტების მაძიებელნი“ იქნებოდნენ, „სატოპკედ“ აწეულ ასეთ მსუყე ლუკმას რომ არ წაპოტინებოდნენ და რისხვა, ზოგადად, ხელისუფლებისა და, კონკრეტულად, შსს-ს წინააღმდეგ არ მიემართათ?**




ალბათ, ბევრ თქვენგანს უშლიან ნერვებს ჟურნალისტის ტყავში გახვეული ზონდერები გვარამია, კილაძე, კაპანაძე და ძმანი თუ დანი მათნი, რომლებიც ინტერვიუს დროს ისეთ დაკითხვებს უწყობენ ტელეგესტაპო „მთავარში“ მიწვეულ ადვოკატებს, გეგონება, პირდაპირ ეთერში უფლებადამცველებს კი არა, სახელმწიფო დამნაშავეებს „აკაჩავებენო“. საილუსტრაციოდ კობაიძისა და, განსაკუთრებით, კუპრაშვილის „გატისკვის“ დასახელებაც კმარა, რადგან ამ უკანასკნელს საუბრის დასაწყისში წამოსცდა, სამართალდამცავები დამნაშავეთა დასადგენად დღესა და ღამეს ასწორებენო.

წარმოიდგინეთ, სისხლის სამართლის კოდექსში გათვითცნობიერებულ პროფესიონალებს რომ აფიქრებინებენ, ნეტავი საერთოდ არ მივსულიყავით აღნიშნულ კანტორაშიო, სხვები, კანონთან არცთუ ისე ახლო ურთიერთობაში მყოფი რიგითი მოკვდავნი, რა დღეში ჩავარდებიან სადამსჯელო მედიადანაყოფად ქცეულ სტუდიაში მიბრძანებისას. სხვათა შორის, ალბათ, დამეთანხმებით, მოვიდა დრო, თუ უკვე არ დაგვიანდა, რომ ნებისმიერმა თავმოყვარე ქართველმა, განურჩევლად პროფესიისა, ბოიკოტი გამოუცხადოს რევანშისტთა ამ ბუდეს, თუმცა, ეს ისეთი საკითხია, ყველამ საკუთარი სინდისის კარნახით რომ უნდა იმოქმედოს, სინდისი კი ისეთი რამაა, ერთეულებს რომ ამძიმებს.

რასაკვირველია, თვით ის ფაქტი, რომ ტრაგედიიდან უკვე გასული სამი კვირის განმავლობაში გამოძიებას ხელჩასაჭიდი სამხილი არ მოუპოვებია და არც საბედისწერო შემთხვევის კონკრეტულ ნიუანსებზე გასულა, ბევრ კითხვას აჩენს, მაგრამ არც მთლად მიღწეულის წყალში ჩაყრა გვგონია, იყოს მართებული, მაგალითად, 14 ტომის საფუძველზე ერთბაშად 17 ეჭვმიტანილისთვის წინასწარი პატიმრობის მისჯა.

ის, რომ სასწორზე უმნიშვნელოვანესი დილემაა და თითოეული წვრილმანიც კი ძირისძირამდე ჩაძიებას მოითხოვს, გუშინდელმა ეპიზოდმაც დაადასტურა, როცა მხოლოდ ერთი შეხედვით დაგვიანებით გავრცელებული სათვალთვალო კამერების ჩანაწერებიდან გაირკვა, რომ მცხეთის დასახლება ნარეკვავის აგარაკზე მომხდარ ჩხუბში, თურმე, თვით გიორგი შაქარაშვილიც მონაწილეობდა, რაც ადვოკატმა გელხაურმა გვაუწყა. არადა, ეს ვერსია აქამდე არ გაჟღერებულა. ასე რომ, ასეთ რეზონანსულ საქმეში სიჩქარე მხოლოდ სკანდალისტთა მეკავშირეა.

დაბოლოს, მომხდარის, ასე ვთქვათ, სპორტული ასპექტის თაობაზეც დავასველოთ სიტყვა, რომელსაც, რომ მოსწრებოდა, სულმნათი არქიმედე ცნობილი „ევრიკას“ კიდევ ერთხელ წამოძახებით შეეგებებოდა. დიახ, სხვაგვარად ძნელია შეაფასო ის „აღმოჩენა“, რომელიც ნაპროკურორალმა გვარამიამ თავის იდეურ თანამოაზრეებთან ერთად ჩვეული ვირეშმაკობით შემოგვასაღა — ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, უბრალოდ, ვერსიის დონეზე ვასკვნით, რომ ფეხბურთელი „ცაცია“ მორაგბე გაგნიძემ (მოგვიანებით ჟვანიამ) მოკლაო. და იცით, როგორ დაიბადა ეს შერლოკ ჰოლმსობა? თურმე, გარდა „შაქარასი“, კიდევ ორ დაზარალებულს დაზიანებები სახის მარჯვენა მხარეს აღმოაჩნდა, რასაც აუცილებლად მარცხენა ხელით დარტყმა გამოიწვევდაო.

ასეთი ლოგიკით, რაც კი მსოფლიოში მსგავსი პროფილის დანაშაულს ჩაიდენს ვინმე, ხელბორკილი მაშინვე „ცაციებს“



უნდა დავადოთ. ეჰ, საწყალი მარადონა, მესი, ბეილი, ედერი (კიდევ კარგი, მესხმა დროზე გაასწრო ამქვეყნიდან) და მათი კოლეგები სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობიდან — დანარჩენებზე ამჯერად აღარაფერს ვიტყვი.

გამონაკლისია მხოლოდ რაგბი და აი, რატომ. როგორც მოგეხსენებათ, ბიძინა ივანიშვილის უშუალო ძალისხმევით ჩვენი სარაგბო ინფრასტრუქტურა შვეიცარიული საათივით გამართულად მუშაობს, რასაც მადლიერებით გამოხატავს კიდეც ქართული სარაგბო თემი.

გასათვალისწინებელია მეორე გარემოებაც — როგორც გაირკვა, ჭორნალისტ-გამომძიებელთა მიერ ადამიანის ვირტუალურ მკვლელობაში კულტურულად ჩაშვებული ერთ-ერთი სპორტსმენი სარაგბო კლუბ „ასკანელების“ წევრი ყოფილა, ხოლო მისი ნათლია გოჩა ჩხაიძე ღვინის აღნიშნული კომპანიის ერთ-ერთი თავკაცი და „ქართული ოცნების“ ლიდერთან დაახლოებული პირია.

ჰოდა, მიხვდით, სადაა ძაღლის თავი დამარხული? დიახ, ახალგაზრდა კაცის ბედზე წუხილი და პოლიტიკური მეძავობა სხვადასხვა მცნებებია და ეს ამჯერადაც დასტურდება.

**გია პლატონიშვილი**

# ცუდი მაგალითი

**სპორტსმენებზე შეტევა მიმდინარეობს. მათ შარშან საქართველოს დროშა 1200-ჯერ ასწიეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.**

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ შოთა ხაბარელმა განაცხადა.

მისივე თქმით, 19 წლის ფეხბურთელის გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების საქმეზე რამდენიმე სპორტსმენის მიერ ჩადენილი დანაშაული ყველა სხვა სპორტსმენთან არ უნდა იყოს გაიგივებული.

**„პირველ რიგში, მინდა გიორგი შაქარაშვილის ოჯახსა და ახლობლებს მივუსამძიმრო. ნამდვილად ცუდი ამბავი მოხდა, მაგრამ ის შეფასება, რასაც ვისმენთ, არანაირად არ ესადაგება იმ ქართველ სპორტსმენთა დიდ წარმატებებს, რომლებმაც ჩვენს ქვეყანას არაერთხელ გაუთქვეს სახელი.**

**მინდა, მაგალითისთვის, 2019 წელს ჩვენ სპორტსმენთა შედეგები მოგიყვანოთ. მათ მიერ 1200 მედალია მოპოვებული. წარმოიდგინეთ, პლანეტაზე ამდენჯერ აიწია საქართველოს დროშა, ეს ჩვენი ქვეყნის კიდევ ერთხელ გაცნობაა მსოფლიოსთვის. საქართველოში ვხედავთ, რომ შეტევა ხდებასპორტსმენებზე, იმ ადამიანებზე, რომლებმაც ჩვენი ქვეყანა ასეთი ცნობადი გახადეს.**

**რა თქმა უნდა, ეს პირდაპირ მიმართული დისკრედიტაციაა ჩვენი გამოჩენილი სპორტსმენების მიმართ და ასევე, ძალიან ცუდი მაგალითია მომავალი თაობისთვის, როდესაც გამოჩენილ სპორტსმენებს პოლიტიკურად ანგაჟირებული ადამიანები უწოდებენ „კუნთმაგარსა“ და „გონებაჩლუნგს“. კიდევ არ ვიცი, რანაირი ეპითეტებით მოიხსენიებენ, ეს მომავალ თაობაზე უარყოფითად მოქმედებს.**

**ისინი ფიქრობენ, როგორ შეიძლება ჩვენ მომავალში წარმატებული სპორტსმენები ვიყოთ, როდესაც ადა-**



**მიანები ასეთი ეპითეტებით გვამკობენ. რა თქმა უნდა, ეს ჩვენთვის მიუღებელია. გაიხსენოს ქართველმა ხალხმა და საზოგადოებამ, როგორი შეტევა იყო იგივე ტალახაძეზე, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი წარმატებული სპორტსმენია და არა მხოლოდ ტალახაძე, უამრავი სხვა ათლეტი, რომლებმაც ქვეყანა ასახელეს და არანაირი კავშირი არა აქვთ ისეთ ეპითეტებთან, რასაც ჰქვია კრიმინალი და დამნაშავეთა ქმედება.**

**ამიტომ, მოვუწოდებ იმ ადამიანებს, ვინც ასე მოიხსენიებენ ქართველ სპორტსმენებს, თავი შეიკავონ, რადგან ჩვენ სპორტსმენებს ქვეყანა უყვართ და მათ ეს არაერთხელ დაუმტკიცებიათ. რა თქმა უნდა, ჩვენთვის ძალადობა მიუღებელია. სამწუხაროდ, გვხვდება ბევრი ისეთი ადამიანი, რომელიც მართლა კრიმინალია, მაგრამ არ უნდა გავაიგივოთ ყველასთან რამდენიმე სპორტსმენის მიერ ასეთი დანაშაულის ჩადენა. ვემიჯნებით ამ დამოკიდებულებას“,** — განაცხადა ხაბარელმა.

# დაგვანებონ თავი!

**გიორგი შაქარაშვილის ბიძამ მედიას კიდევ ერთხელ მოუწოდა, რომ სპეკულაციებისგან თავი შეიკავოს.**

**მირიან ნიკოლაძის თქმით,** სხვადასხვა ტელევიზიებს გიორგი შაქარაშვილის საქმეზე მოპოვებული ფოტოებით თუ კადრებით და ასევე სხეულის დაზიანებების ფორმაზე საუბრით საზოგადოება შეცდომაში შეჰყავთ.

**„ექსპერტებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ დაზიანებები მთელ სხეულზე იყო, მაგრამ ამ დაზიანებების ხარისხი, მიყენების მექანიზმი და დრო საჭიროებდა ლაბორატორიულ გამოკვლევას, ე.წ. ჰისტოლოგიურ კვლევებს.**

**მაპატიეთ, თქვენს კოლეგებს ეხება, მაგრამ რომ არ ვთქვა, არ შემიძლია — ვიზუალური თვალსაზრისით ამ ძალადსკანდალების მოსმენა ყოველდღე, რომ თითქოს ვიღაცამ რაღაც ფოტოები აღმოაჩინა, თითქოს ვინმემ რაღაც დასკვნა დადო, არ დაიჯეროთ! რეალობასთან ამას არანაირი კავშირი არა აქვს.**




**ექსპერტთა თქმით, პირველადი დათვალიერებით ძვლების მოტეხილობა ბავშვს არ აღენიშნება. ეს არ ნიშნავს, რომ მას ვიღაცამ არ სცემა და არ ჩაახრჩო წყალში, მაგრამ სიმართლე ხომ უნდა ვიცოდეთ?! ოჯახს არ უნდა თავის მოტყუება და დაგვანებონ, რა, ამ ადამიანებმა თავი, ვისაც რაღაცის თავზე მოხვევა უნდათ.**

**ჩვენთვის ეს საინტერესო არ არის, ჩვენთვის მთავარია სიმართლე, რა მოხდა რეალურად, ამიტომ ამ დაზიანებებზე შემიძლია მხოლოდ ის გითხრათ, რომ იყო მთელ სხეულზე, თუმცა, მოტეხილობების სახით ეს დაზიანებები არ იყო“,** — განაცხადა **მირიან ნიკოლაძემ.**

◉ ღირსეული

# საკალათბურთო უნივერსალი

**ბესიკ ლიპარტელიანი იმ საბჭოთა დროიდან გვახსოვს, როცა თბილისის „დინამოში“ თამაშობდა და თვით გივი ბიჭიაშვილს უწევდა ჯანსაღ კონკურენციას მსროლელის პოზიციაზე.**

სარბიელზე დაგროვებული გამოცდილება და, ერთი შეხედვით, ნაადრევად შეძენილი აკადემიურობა მოგვიანებით გამოადგა — ჯერ დამოუკიდებლობააღდგენილი საქართველოს საუკეთესო კლუბ „ვითას“, ხოლო შემდეგ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის თავკაცად ხანგრძლივი (2001-2013წ.წ.) პერიოდის განმავლობაში მოღვაწეობისას.

სწორედ მის სახელს უკავშირდება ოსტატობით გამორჩეულ თანამემამულე ლეგიონერთა მიერ ნბა-სკენ ბილიკის გაკვალვა.




განსაკუთრებულად გვესახება ახალგაზრდა სპეციალისტის მიერ ეროვნული ნაკრების სათავეში გატარებული წლები, როცა გამოიჭედა კიდეც „შინდისფერთა“ პირველი საერთაშორისო წარმატებები.

ბატონი ბესო, ზოგიერთი კოლეგისგან განსხვავებით, ისევე ღირსეულად მიდიოდა თანამდებობებიდან, როგორც მოდიოდა, რაც, დაგვეთანხმებით, აღსანიშნავი ფაქტია, თუმცა, იგი არსად წასულა — კვლავაც ქართულ კალათბურთში ტრიალებს.

60 წლის იუბილეს გილოცავთ, პროფესიონალო!

**„სრ“ სპორტის რედაქცია**

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნატო თოთლაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნატო თოთლაძე (პ/ნ 59001072219), ქ. გორი, გიორგი ანწუხელიძის ქ. №6, სართული 1, ბინა №8

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ქ. გორი, გიორგი ანწუხელიძის ქ. №6, სართული 1, ბინა №8 (საკადასტრო კოდი: 66.05.06.018.01.008 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 16015.66 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 7 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 21 ივლისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP66523220;
აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 665232

6. **მოვალე:** თორნიკე თოთლაძე (პ/ნ 59001122504), ქ. გორი, გიორგი ანწუხელიძის ქ. №6, სართული 1, ბინა №8.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP66523220; ლოტის ნომერი: 665232).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 21 ივლისის 10:00 საათამდე.

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ჟანა გარდავას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ჟანა გარდავა (პ/ნ 19001033474), ქ. ზუგდიდი, ლევან ქობალიას ქ. №39

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ქ. ზუგდიდი, ლევან ქობალიას ქ. №39 (საკადასტრო კოდი: 43.31.49.281https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 18050.71 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 8 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 22 ივლისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP66536520;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 665365

6. **მოვალე:** ჟანა გარდავა (პ/ნ 19001033474), ქ. ზუგდიდი, ლევან ქობალიას ქ. №39.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP66536520; ლოტის ნომერი: 665365).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 22 ივლისის 10:00 საათამდე.

## სანთელი



**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის ღვაწლმოსილი და ერთგული თანამშრომელი, მთავარი სპეციალისტი, ტექნიკის დოქტორი**

# გივი მოსაშვილი

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**ოთარ ჭითანავა, გია გვაზავა, ზურაბ ჩიქოვანი, თემურ ჯანაშია, ზურაბ აფშილავა, ნუგზარ კახიშვილი, გოგი ბერაძე, ჯემალ კვირტია, ნუკრი გოგიტიძე, ვახტანგ სიჭინავა, კოტე შენგელია, თემურ ჯიჯიაშვილი, ლერი ჭითანავა, კახა არდია, სოსო ჯღარკავა, გია ბერაძე, რუბენ გახარია, თემურ წულეისკირი თანაგრძნობას უცხადებენ უახლოეს მეგობარს სოსო ხარებავას მამის, უკეთილშობილესი პიროვნების, სამეურნეო სამსახურის დამსახურებული მუშაკის**

# კოტე ხარებავას

**გარდაცვალების გამო.**

# აფრასიძეების ოჯახი დამნაშავეთა მკაცრად დასჯას მოითხოვს!

**აფრასიძეების საქმეზე დაზარალებულად ცნობილი, სვანეთში, 2004 წელს ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაღუპული ომეხ აფრასიძის დედა დოდო აფრასიძე ადვოკატთან ერთად, 9 ივლისს გენერალურ პროკურორთან ირაკლი შოთაძესთან შეხვედრას გეგმავს.**

როგორც დოდო აფრასიძემ საქართველოს „პირველ არხს" განუცხადა, ის ყოფილი თანამდებობის პირების პასუხისგებასთან ერთად, შეხვედრაზე მოითხოვს 2004 წლის სპეცოპერაციისას მისი ოჯახისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.



**„ზარალი მოგვაყენეს, ყველაფერი გადაგვიწვეს, აბსოლუტურად არაფერი დაგვიტოვეს, ამას მოვახსენებ ირაკლი შოთაძეს. ვინც დამნაშავეა, ის უნდა დაისაჯოს – სააკაშვილი, პირველ რიგში ბარამიძე, რომელიც ხელმძღვანელობდა ამ საქმეს, ასევე უნდა დაისაჯონ მერაბიშვილი, ადეიშვილი, ოქრუაშვილი. ყველა ამ საქმეში მონაწილეობდა. როდესაც სპეცოპერაცია ტარდებოდა, იქ იყო ბადრი ბიწაძეც",** – განაცხადა დოდო აფრასიძემ.

მისი თქმით, ირაკლი შოთაძესთან შეხვედრა 9 ივლისს, 14 საათზეა ჩანიშნული.

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მარიამ ოღიაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მარიამ ოღიაშვილი (პ/ნ 40001029389), ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი, მუხიანი, წმინდა ნინოს ქ. №17, სართული 1, ბინა №10

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

თბილისი, წმინდა ნინოს ქ. №17, სართული 1, ბინა №10 (საკადასტრო კოდი: 01.11.13.003.016.01.03.010https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 77211.87 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 8 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 22 ივლისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP66523620;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 665236

6. **მოვალე:** გიორგი გურაშვილი (პ/ნ 40001032413), სიღნაღი, ქ. წნორი, უნივერსიტეტის ქ. №80.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი",ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP66523620; ლოტის ნომერი: 665236).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 22 ივლისის 10:00 საათამდე.

# ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ

**ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲨᲘ, ქალაქ ტორელავეგაში „მუშათა სოციალისტური პარტიის“ გენერალურმა მდივანმა ბერნარდო ბუსტილიომ ონლაინ-თათბირის დროს შხაპის მიღება გადაწყვიტა და კამერის წინ სრულიად შიშველმა გაიარა.**

კონფერენცია დილის 8 საათზე დაიწყო და 5 საათს გაგრძელდა. იმ დღეს ბუსტილიოს შვილი გაკვეთილზე უნდა წაეყვანა, თვითონ კი მეორე სამსახურში უნდა წასულიყო (ის ცურვის ინსტრუქტორად მუშაობს). პოლიტიკოსი მიხვდა, რომ თათბირის შემდეგ შხაპის მიღებას ვერ მოასწრებდა, ამიტომ ორი საქმის ერთდროულად გაკეთება გადაწყვიტა.



მან ლეპტოპი აბაზანაში შეიტანა, რათა გაეგო რაზე საუბრობდნენ მისი კოლეგები. მას ეგონა, რომ კამერა გამორთო. შედეგად კონფერენციაში მონაწილე პოლიტიკოსებმა, ჟურნალისტებმა და მოქალაქეებმა დაინახეს, როგორ გაშიშვლდა ბუსტილიო და როგორ იბანავა მან. რგოლი სწრაფად გავრცელდა Twitter-ზე და ბუსტილიომ თანამდებობის დატოვება გადაწყვიტა, რათა პარტიის რეპუტაცია არ დააზიანოს.

# ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ - ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

**ᲓᲘᲓᲛᲐ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲛᲐ 49 ფიზიკურ პირსა და ორგანიზაციას ადამიანის უფლებების დარღვევის გამო სანქციები დაუწესა. სანქციები რუსეთის 25 და საუდის არაბეთის 20 მოქალაქეს დაუწესდა. სერგეი მაგნიტსკის მკვლელობაში გარეულ პირებს დიდ ბრიტანეთში აქტივებზე წვდომას გაუუქმებენ და ქვეყანაში შესვლას აუკრძალავენ.**

სანქციები დაუწესდათ საუდის არაბეთის იმ მოქალაქეებსაც, რომლებიც 2018 წელს ჟურნალისტ ჯამალ ხაშოგის მკვლელობის საქმეში არიან ჩართულები.



დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მდივანმა დომინიკ რააბმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სანქციების დაწესება მკაფიო გზავნილს წარმოადგენს.

# ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲰᲝᲗ-ᲓᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲭᲐᲛᲐᲨᲘ

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ აშშ-ის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ჰოთ-დოგების სწრაფი ჭამის ტრადიციულ კონკურსის გამარჯვებულებმა მსოფლიო რეკორდები დაამყარეს.**

ჯოი ჩესტნატმა, რომელმაც კაცებს შორის პირველი ადგილი დაიკავა, 10 წუთში 75 ჰოთ-დოგი შეჭამა, რითაც თავისი წინა რეკორდი (71) გააუმჯობესა. სულ მან ამ კონკურსში ხუთჯერ გაიმარჯვა. რაც შეეხება ქალების შეჯიბრს, აქ ზედიზედ მეშვიდედ ნევადელმა მიკი სუდომ გაიმარჯვა, რომელმაც 10 წუთში 48 ჰოთ-დოგი შეჭამა და წინა რეკორდი სამით გააუმჯობესა. ტურნირის გამარჯვებულებმა 10 ათასი დოლარი და საპატიო ქამრები მიიღეს.






# ᲐᲘᲐ ᲡᲝᲤᲘᲐᲡ ᲛᲔᲩᲔᲗᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲡ ᲨᲔᲣᲥᲛᲜᲘᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ

**ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურის პატრიარქ კირილის განცხადებით, მოწოდებები სტამბოლში მდებარე აია სოფიას ტაძრის მეჩეთად გადაკეთების შესახებ, საფრთხეს უქმნის ქრისტიანობას.**

ამის შესახებ ნათქვამია მოსკოვის პატრიარქის განცხადებაში, სადაც ის მოუწოდებს თურქეთის ხელისუფლებას, შეინარჩუნოს აია სოფია, როგორც მუზეუმი.

**„აია სოფიას წინააღმდეგ მიმართული საფრთხე მთელი ქრისტიანული ცივილიზაციის, ჩვენი სულიერებისა და ისტორიის წინააღმდეგ მიმართული საფრთხეა. ის, რაც შესაძლოა აია სოფიას დაემართოს, ძალიან ღრმა ტკივილს მიაყენებს რუს ხალხს“,** — აცხადებს მოსკოვის პატრიარქი. აია სოფიას მუზეუმის მეჩეთად გადაკეთების საკითხს კრემლიც გამოეხმაურა. **„ვიმედოვნებთ, რომ თურქეთის ხელისუფლება გაითვალისწინებს აია სოფიას, როგორც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს“,** — თქვა კრემლის პრესსპიკერმა დმიტრი პესკოვმა.

შეგახსენებთ, 29 მაისს, კონსტანტინოპოლის დაცემის წლისთავზე, აია სოფიაში ყურანის კითხვა გაიმართა. ერთი კვირის შემდეგ, კი ქვეყნის პრეზიდენტმა რეჯებ ტაიპ ერდოღანმა მმართველი მართლმსაჯულებისა და განვითარების პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დაავალა შეისწავლონ აია სოფიას მეჩეთად გადაქცევის შესაძლებლობა.

აია სოფიას მეჩეთად გადაკეთების საკითხი განიხილა თურქეთის სასამართლომ, რომელმაც გადაწყვეტილების გამოტანის თარიღად 17 ივლისი დაასახელა.

# ᲪᲣᲙᲔᲜᲑᲔᲠᲒᲘ - ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘ

**ᲞᲚᲐᲢᲤᲝᲠᲛᲐ Change.org-ზე გამოქვეყნდა პეტიცია, რომლის თანახმადაც სოციალურ ქსელ Facebook-ის მფლობელ მარკ ცუკერბერგს მოუწოდებენ, რომ ჰავაიზე კუნძულ კაუაის კოლონიზაცია შეწყვიტოს. ერთ კვირაში პეტიციას 500 ათასმა ადამიანმა მოაწერა ხელი.**



კომპანია ჰავაის მკვიდრი მოსახლეობის ინიციატივით დაიწყო. პეტიციაში ნათქვამია, რომ მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი მარკ ცუკერბერგი ცდილობს, კუნძულიდან მკვიდრი მოსახლეობა გაასახლოს და მათ სასამართლოში უჩივის. პეტიციაში ასევე ნათქვამია, რომ ის ავიწროვებს ადგილობრივ ფერმერებს. ცუკერბერგმა კუნძულზე უძრავი ქონება 2014 წელს 100 მილიონ დოლარად იყიდა. შემდეგ მან დამატებით იყიდა კიდევ ორი ნაკვეთი და განაცხადა, რომ საკუთარ სამფლობელოს ორმეტრიანი ქვის კედლით შემოსაზღვრავდა. რამაც ადგილობრივი მოსახლეობის გაღიზიანება გამოიწვია.


## ᲛᲝᲒᲛᲐᲠᲗᲐᲕᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲥᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„ᲙᲝᲚᲝᲠ ᲞᲠᲔᲡᲨᲘ“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001



ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ.

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“ ᲨᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲐ, ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲐᲥ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕ, ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ ᲕᲔᲠ ᲜᲐᲮᲐᲕ!


ᲡᲠ

**ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:**
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.0532; ᲔᲕᲠᲝ - 3.4477;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.8144;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.2454; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.4448;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.7960;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.3083.

**ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 8 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ**

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ᲑᲐᲠᲘ - | ᲦᲐᲛᲔ | +18, | ᲓᲦᲔ | +39 |
| ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - | ᲦᲐᲛᲔ | +12, | ᲓᲦᲔ | +35 |

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ᲑᲐᲠᲘ - | ᲦᲐᲛᲔ | +19, | ᲓᲦᲔ | +34 |
| ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - | ᲦᲐᲛᲔ | +15, | ᲓᲦᲔ | +34 |
| ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: | ᲦᲐᲛᲔ | +21, | ᲓᲦᲔ | +38 |


ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge